



გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
(ნოემბერი)
№3 (377)
(5773)
2013

"מנורה"

עיתון יהודי

בגורג'יה

**ქვირფასო მეგობრებო, 25 მარტს იწყება ფესახი — ეგვიპტელთა
ტყვეობიდან ებრაელთა განთავისუფლების დღესასწაული.
გილოცავთ!**

ძვირფასო მეგობრებო,
 ფესახი თავისუფლების დღესასწაულს
 ვერენიტეცისა და სახელმწიფოებრივი
 გზის გავლის თაობაზე.
 ისრაელის ხალხმა დამოუკიდებლობა
 ისევე, როგორც, თანამედროვე საქონლის
 და სხვა მიზნებისათვის, დაიწყო

ძვირფასო მეგობრებო,
ფესახი თავისუფლების
ვერენიტეტისა და სახელ
გზის გავლის თაობაზე.

ისრაელის ხალხმა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი 65 წლის წინ კიდევ ერთხელ დაიბრუნა, ისევე, როგორც, თანამედროვე საქართველომ.

ფესახი გაზაფხულის დღესასწაულიცაა. ეს ყვავილობის პერიოდია და მინდა, ისრაელში, საქართველოსა, თუ სრულიად მსოფლიოში მცხოვრებ ყველა ებრაელს თავისუფლების დღესასწაული მივულოცო.

ძვირფასო საზოგადოებაგ!

ნება მიბოძეთ, მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც შეეხება, სასიკეთოდ და საკუთრივგლად, მოახლოებულ ფესახის დღესასწაულს.

სამეცის გაყიდვა – კვირა დღიდან, 6 ნისანიდან (17 მარტი) დაწყებული მინსასა და ყარბითს შორის შესაძლებელი იქნება სამეცის გაყიდვის ანგეტიბზე. ხელის მოწერა სალოკაგში.

დიდი შაბათის დარაში – „ფესახის დღესასწაულის წესები“ მოეწეობა 12 ნისანს (17 მარტს) ფარაშა „ცაგ“-ის შაბათს საღამოს 17:00 სთ-ზე, ამის შემდეგ კი დაიწყება მინხის ლოცვა.

ფესახისტოვის ჭურჭლის გაქაშრება – კვირას, 13 ნისანს (24 მარტს) 14:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე შესაძლებელი იქნება ფესახისტოვის ჭურჭლის გაქაშრება სალოცავის ეზოში.

ორშაბათი – ფესახის დღესასწაულის შეძომაგალი.

**მასეხეთის (ტრაქტატის) დასრულება – შანხაის ლოცვის
შემდეგ მოეწყო მასეხეთის დასრულება პირშოებისთვის.**

სამეციის ჭამის საბოლოო დრო – 11:02 (ამ დროისთვის დამთავრებულ უნდა იქნას სამეციის ჭამა)

სამეციის დაწევის საბოლოო დრო - 12:03 (ამ საათამდე უნდა მოესწროს სამეციის დაწევა)

სალოცაგში შესაძლებელი იქნება ხამეცის დაწვა
კონცენტრირებულად.

სანთლების ანთების დრო – 18:59.

შუალაშე – (ამ დრომდე დასრულებულ უნდა იქნეს აფიკომანის ქაბა ჰაგადის წაგიოთხვის ღამეს.

ქაშერ და მზიარულ დღესასწაულს გისურვებთ. მრავალ წელს დაგასწროთ ღმ-თმა!

რადი აზიშვი ბათაშვილი

პატივისცემით,
იუვალ ფუქსი

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩი საქართველოში

იქითხეთ გზეთ „მენორას“ ელექტრონული პარტნიოზი WWW.MENORA.GE

საქართველოს პრაქტიკულ-ბიზნისის - ბ-ნ ბიზნისი ივანიშვილის სიტყვა საქართველო-ისრაელის ბიზნესფორუმზე



13-14 მარტს თბილისში სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში გაიმართა საქართველო-ისრაელის პირველი ბიზნესფორუმი.

ფორუმზე სიტყვები წარმოთქმეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ბ-ნმა იუვალ ფუქსმა.

საქართველოში შექმნილ ბიზნეს გარემოზე, ბიზნესმენებისთვის მრავალმხრივ საინტერესო საკითხებზე ისაუბრეს საქართველოს მთავრობის კაბინეტის წევრებმა, ბანკების წარმომადგენლებმა, ბიზნესომბუდსმენმა და სხვ.

მოგესალმებით ყველას!

მივესალმები ჩვენს საყვარელ სტუმრებს, მივესალმები ჩემს მეგობარ იუვალს - ისრაელის ელჩს.

ძალიან მიხარია, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნის ბიზნესმენები ასეთი რაოდენობით, ასეთი შემადგენლობით ჩამოვიდნენ. ჩამოვიდნენ ჩვენი ებრაელები. მე ასე ვეძახი ყოველთვის, ასე მიაჩნიათ საქართველოში, ჩვენ ერთი ხალხი ვართ, ჩვენ გვაქვს 30-საუკუნოვანი თანაცხოვრების კულტურა.

არ შემიძლია ამ ისტორიას ცოტა დრო არ დავუთმო, არ დავუთმო იმ თანაცხოვრების უნიკალურობას, რომელსაც ახერხებდა ორი ერი 30 საუკუნის განმავლობაში. წინასწარ ვიტყვი, რომ არასდროს არ ყოფილა ორ ერს შორის სერიოზული კონფლიქტი, თუ გადახედავთ ისტორიას, შეიძლება მსგავსი მაგალითი ვერც კი მოძებნოთ.

ებრაელები საქართველოში მაქსიმალურად ინარჩუნებდნენ საკუთარ კულტურას და თვითმყოფადობას. ამის დასტური გახლავთ ისიც, რომ დღეს ისრაელის მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოშია ნაცხოვრები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ისინი მაქსიმალურად იცავდნენ საკუთარ რელიგიას საქართველოში, მაქსიმალურად ინახავდნენ მას. უნიკალურია ის, რომ საქართველო, რომელიც თუმცა, პატარა, მრავალეროვანი ქვეყანაა, არცერთ ერს მსგავსი არ გაუკეთებია - ისე არ შეუთვისებია ქართული კულტურა, როგორც ქართველებს. აი, ამაშია უნიკალურობა - ისინი ახერხებდნენ ქართული კულტურისთვის მაქსიმალური პატივი ეცათ, ეცხოვრად და გამოეყენებინათ ქართული ტრადიცია და კულტურული ჩვევები და ამავდროულად ხელშეუხებლად ინახავდნენ საკუთარ კულტურას. ზუსტად ამაშია უნიკალურობა ჩვენი თანაცხოვრებისა.

და, რა თქმა უნდა, მე არასოდეს არ ვმაღავ, და კარგად იციან ჩემმა მეგობრებმა, ვინც მე მიცნობს: ყოველთვის გამოვხატავ განსაკუთრებულ და ღრმა პატივისცემას ამ ერისადმი - ებრაელი ხალხისადმი, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა თავისი უნიკალურობით, თავისი ნიჭიერებით.

ძალიან მოხარული ვარ, რომ ბოლო ათწლეულებში ებრაელმა ხალხმა მოახერხა და საბოლოოდ დაიბრუნა თავისი სამშობლო - ისრაელი, თუმცაღა, ვიცით, რომ ეს პროცესი დიდი პრობლემებით და გარკვეული დაძაბულობებით ხასიათდებოდა, დაძაბულობა დღესაც გრძელდება. მე ვისურვებდი, რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებულიყო ის დაძაბულობები, ის გაუგებრობები, დაპირისპირებები, რაც დღეს ისრაელის მიწაზე ხდება და ებრაელ ხალხს ძალიან სწრაფად მოუპოვებინოს დამსახურებული მშვიდობა და ბედნიერი ცხოვრება საკუთარ მიწაზე.

ერთ-ერთ გამოსვლაში, ხანუკობის წინა დღეს, მე ვთქვი, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ებრაელები, მე გამისწორეს: ასე ნუ ლაპარაკობ, ებრაელებმა

საკუთარი სამშობლო დაიბრუნეს და ესე იგი მხოლოდ ორმაგ მოქალაქეობაზე შეიძლება საუბარი. აბსოლუტურად ვასწორებ ჩემს გადახვევას, მივესალმები იმას, რომ ებრაელმა ხალხმა დაიბრუნა საკუთარი სამშობლო, მე გარწმუნებთ, რომ საქართველო თქვენი სამშობლოა, რა თქმა უნდა, ისრაელია თქვენი პირველი სამშობლო, ის არის თქვენი ძირითადი ქვეყანა და ბიზნესით უნდა მოვახერხოთ და შევაგოსოთ ის ვაკუუმი, რაც ებრაელების მიგრაციის შემდეგ საქართველოში გაჩნდა. ებრაელებმა მოახდინეს მიგრაცია საქართველოდან არა იმიტომ რომ მათ აქ არ ეცხოვრებოდათ, მხოლოდ იმიტომ რომ მრავალსაუკუნოვანი მცდელობის შემდეგ, დაიბრუნეს ისტორიული სამშობლო. და რამდენადაც ქართველები და საქართველო ამით ძალიან დაზარალდა, შეგვიძლია ვთქვათ: ძალიან დიდი ნოსტალგია გვაქვს ჩვენ ამდენსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა. დღეს საქართველოში ებრაელები ცხოვრობენ, მაგრამ არა იმ რაოდენობის, რამდენიც ჩემი ბავშვობის, ახალგაზრდობის დროს ცხოვრობდა. სწორედ რომ ბიზნესს შეუძლია შეავსოს ეს ვაკუუმი, სწორედ რომ თქვენ შეგიძლიათ, თქვენი აქტიურობით შეიძლება შეივსოს ის ვაკუუმი, ის განცდა, ის ნოსტალგია, რომელსაც ქართველები განიცდიან. მე პირადად გაძლევთ პირობას, ჩვენი გუნდი, ჩვენი მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ყველა პირობა შექმნათ, რათა თქვენ გაგიჩნდეთ საქართველოში ბიზნესის კეთების ინტერესი.

დღევანდელ შეხვედრაში ჩვენი მთავრობის რამდენიმე მინისტრი მონაწილეობს, მათს საყურადღებოდ გავაკეთებ განმარტებას: ებრაელები არიან განსაკუთრებულნი მოღვაწეობის ძალიან ბევრ სფეროში, განსაკუთრებულნი არიან ბიზნესაქტიურობით და ბიზნესში წარმატებითაც. თუ ჩვენ მოვახერხებთ და დიდი რაოდენობის ებრაელებს, თუ გინდ სტატისტიკურად, ავსახავთ რამდენიმე წლის შემდგომ, რომ საქართველოში აქვთ ბიზნესი, ეს უკვე ერთ-ერთი ლაკმუსის ქაღალდი იქნება, თუ გნებავთ იმისა, რომ საქართველოში არის ჯანსაღი სიტუაცია, ჯანსაღი გარემო ბიზნესისათვის და ეს იქნება საწინდარი იმისა, რომ ეკონომიკა ჭეშმარიტად აღორძინდეს.

ახლა რაც შეეხება თვით ეკონომიკას: რით შეგვიძლია ჩვენ შევუქმნათ განსაკუთრებული პირობები ჩვენს მეგობარ ებრაელ ბიზნესმენებს. პირველ რიგში, ალსანიშნავია კომპლექსური გადასახადი 16% და ბიზნესმენებს კარგად მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოში ძალიან ცოტაა ქვეყანა, სადაც ასეთი დაბალი გადასახადებია. სინგაპურის შემდგომ საქართველო მეოთხე ადგილზეა და წინ ისევ პატარა ქვეყნები არიან. მდებარეობა თქვენ იცით, საქართველოს ძალიან საინტერესო აქვს, გეოგრაფიულად ქვეყანა აზიისა და ევროპის გასაყარზეა, კლიმატური პირო-

ბები, მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია და რაც მთავარია, ეკონომიკა პრაქტიკულად აუთვისებელია, ცარიელია ბაზარი. ასე ვთქვათ, სანყის ეტაპზეა. დასაწყისია, ეკონომიკის აღორძინების. კარგად მოგეხსენებათ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სხვა კანონები და სხვა სიტუაციაა. იქ უფრო რთულია ბიზნესის წარმოება, რამეთუ უფრო დიდია კონკურენცია.

აი, ეს მქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდი, რომ ბაზარი პრაქტიკულად არის აუთვისებელი, სანყისი ეტაპია და დასაწყისში განსაკუთრებული სიოლუ შეიძლება მოიპოვოს ბიზნესმენმა ბიზნესის დაწყებისათვის. ამას მინდა თან ისიც დავუერთო, რომ ჩვენ გვყავს ბიზნესომბუდსმენი, მე პირადად ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ განსაკუთრებული პირობები შეგიქმნათ თქვენ, რათა გაგიოლდეთ საქართველოში ბიზნესი. გზაც, მოგეხსენებათ, ისრაელიდან არცთუ ისე შორია — ორ საათზე ცოტა მეტია საფრენი. ჩვენ იმაზეც ვიზრუნებთ, რომ სავიზო რეჟიმი გავიოლოთ, გავამარტივოთ, ვიზრუნებთ იმაზეც, რომ რეისები უფრო მოხერხებული იყოს საფრენად, ვიზრუნებთ ბილეთების ფასზეც. ამაზეც ვმუშაობთ იმ კომპანიასთან, ვინც მართავს აეროპორტს და არ მინდა დავასწრო მოვლენებს. მე მგონი, აქაც შეიძლება გარკვეულ წარმატებას მივაღწიოთ.

დამატებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი ინიციატივით საქართველოში იქმნება ფონდი. მას თანაინვესტირების ფონდი ჰქვია. გარდა ამისა, კიდევ ორი ფონდი ფუძნდება, ის ნაკლებ საინტერესოა თქვენთვის, თუმცა, ისიც გარკვეულ ინტერესს შექმნის, გარკვეულად გააიოლებს და გაამართლებს ბიზნესის წარმოებას საქართველოში. მე შეგჩერდები მხოლოდ თანაინვესტირების ფონდზე, რომელშიც პირველ ეტაპზე თავისი კაპიტალით მონაწილეობას მიიღებენ წარმატებული ქართველი ბიზნესმენები, მომავალში როდესაც გაეცნობით, თქვენც შეგიძლიათ, თუ ვინმეს ამის სურვილი გაუჩნდება, უფრო გვიან, მაგრამ სანყისისთვის ამ ფონდს ექნება თანაპარტნიორობის საშუალება, ნებისმიერი უცხოელი ბიზნესმენისათვის - რა თქმა უნდა, თქვენთვის, თუ თქვენ გეყნებათ ბიზნესპროექტი, რომელიც არის ეკონომიკურად დასაბუთებული და რენტაბელური. თანაინვესტირების ფონდი არ არის სოციალური ფონდი, ეს იქნება სუფთა კომერციული ფონდი, ამ ფონდს შეუძლია ნებისმიერ თქვენგანს პარტნიორობა გაუწიოს.


მე მინდა ხაზი გავუსვა იმას. რომ უცხოელი ბიზნესმენებისათვის ძალიან საინტერესოა ადგილობრივი პარტნიორის დახვედრა. ეს ძალიან ამარტივებს ბიზნესს, განსაკუთრებით დასაწყისისათვის, აი, ამ ფონდს შეუძლია გაგინიოთ თანაპარტნიორობა 25%-დან 75%-მდე. ამ ფონდს ეყოლება ძალიან კვალიფიცირებული, გამჭვირვალე მენეჯმენტი, ყველასთვის გასაგები და ევროპული ტიპის, მაღალი კლასის. თუ თქვენი ბიზნესიდეა, ბიზნესპროექტი იქნება განხილული და დასაბუთებული, ეს დამატებითი, თუ გნებავთ, ფილტრიც იქნება თქვენი ბიზნესიდეისთვის: თუ იქ რამე ცდომილებაა, თქვენ კიდევ ერთხელ მოახერხებთ მათთან გადაამოწმეთ. ამ ფონდს მხოლოდ თქვენი სურვილის შემთხვევაში შეუძლია პარტნიორობა გაგინიოთ. თუ ორივე მხარე დარწმუნდება, რომ პროექტი არის ნამდვილად რენტაბელური, ჩათვალეთ, თქვენ გელოდებათ ადგილობრივი დაფინანსება 25%-დან 75%-მდე.

მთელი მთავრობა მონოდეგებულია იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინვესტიციების მოზიდვას, რამეთუ კარგად ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ ეკონომიკის აღორძინებით შეიძლება ჩვენმა ქვეყანამ მიაღწიოს წარმატებას.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით და დიდ მადლობას გადაგიხდით მობრძანებისთვის. დიდი მადლობა. საქართველოში თქვენ გყავთ გენიალური ელჩი, ადამიანი, ვინც ამ ბიზნესფორუმს ორგანიზება გაუკეთა, მე რამდენიმეჯერ მქონდა მასთან საუბარი და ვიცი: ის ძალიან კარგად ერკვევა ბიზნესშიც და ეკონომიკაშიც. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გარწმუნებთ: ყველა პირობას შეექმნით იმისათვის, რომ თქვენ დაგაფუძნოთ და დაგაინტერესოთ, იმისათვის, რომ თქვენ ბიზნესი აწარმოოთ საქართველოში.

ძალიან დიდი მადლობა!

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ეზიჯელი თემა ქაითუე მნეხილობაში

ზაქარია ჭიჭინაძე

(წარილი მითარმეტი)

როგორც წერილების წინამდებარე ციკლიდანაც ჩანს, ებრაული თემით ქართველ მწერალთა და მემკვიდრეთა დაინტერესებას ადრინდელ მუასაუკუნეებში ეყრება მკვიდრი საფუძველი. მათ ნაწერებში მეტად საინტერესოდ და ფართო განზოგადებულობითაა წარმოსახული ზოგადებრაული ყოფის ცალკეული მხარეებიცა და უმნიშვნელოვანესი ეპიზოდებიც ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან.

მაგრამ, ამგვარი ინტერესის მიუხედავად, XX საუკუნის დასაწყისამდე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ებრაული თემა ფრაგმენტულობის ფარგლებს არ გასცილებია და ნაკლები მასშტაბურობით წარმოაჩენდა ებრაელი ხალხის ისტორიულ ყოფასა და თანადროულ ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ამ თვალსაზრისით ვითარების არსებით შეცვლას სათავე XX საუკუნის დასაწყისიდან ედება, როდესაც ქართველ მწერლებთან ერთად აღნიშნული საკითხებით თავად ქართველი ებრაელი პუბლიცისტებიც ინტერესდებიან აქტიურად. ეს დრო ფაქტობრივად ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოღვიძების საწყის ეტაპადაც იქცა, რის შედეგადაც სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველ ებრაელთა წრიდან გამოსული მწერლებიცა და პუბლიცისტებიც გამოდიან. მათგან, უწინარეს ყოვლისა, დავით ბააზოვი უნდა გავიხსენოთ, ქართველი ებრაელობის დიდი სულიერი მოძღვარი და თავისი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მამულიშვილური თავდადებით მდგარი პირველი დიდი ქართველი ებრაელი პუბლიცისტი.

ყოველივე ზემოთქმული აქ კიდევ ერთხელ იმითმაც გავიხსენე, რომ ამ ფონზე უფრო ნათლად და გამოკვეთილად დავინახოთ ის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი, გალაკტიონ ტაბიძის მიერ ქართული წიგნის რაინდად და „ჩვენი ეროვნული სულის ძელქვად“ სახელდებულმა დიდმა ქართველმა მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ (1854-1931 წწ.) რომ შეასრულა ქართველ ებრაელთა ისტორიისა და თანადროული ყოფის შესწავლისა და გაანალიზების საქმეში.

ამ თვალსაზრისით მინდა, უწინარეს ყოვლისა, 1904 წელს გამოცემული მისი ფართოდ ცნობილი წიგნი გავიხსენო - „ქართველი ისრაელნი და მისი ისტორია საქართველოში“, ქართველ ებრაელთა შესახებ დანერგილი პირველი მონოგრაფია, რომელსაც, მაღალმეცნიერულ ღირსებათა გამო, დანერგიდან ერთ საუკუნეზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც კი არ დაუკარგავს საყოველთაო ინტერესი.

აღნიშნული წიგნისადმი ინტერესის განმსაზღვრელ მკვიდრ საფუძვლად არა მარტო ის ფაქტი იქცა, რომ მასში საქართველოში ებრაელთა მკვი-

დრობის ისტორია და მათი ყოფის სპეციფიკური მხარეებია ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზებული, არამედ ებრაელი ხალხისადმი ავტორის დიდი სიყვარულიცა და პატივისმცემლური დამოკიდებულებაც. ამ შემთხვევაში მხედველობიდან ის გარემოებაც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როცა რუსეთსა და ევროპაში ანტიებრაულ გამოსვლებს იმდენად ფართო მასშტაბები ჰქონდა შეძენილი, რომ ებრაელთა დევნა-შევიწროებები და დარბევები ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული.

გ. ტაბიძის შეფასებით, ასეთ ვითარებაში ზ. ჭიჭინაძემ თავისი წიგნით კიდევ ერთხელ „დაასაბუთა, რომ საშუალო საუკუნეებში, როდესაც ევროპასა და რუსეთში ასე სასტიკად იდევნებოდნენ ებრაელები, საქართველოში ისინი ცხოვრობდნენ სრულიად უვნებლად და სარგებლობდნენ საქართველოს მეფეთა დიდი მფარველობით. ამ წიგნის ბეჭდვის გამო დიდი მადლობის წერილები მოსდიოდა ზაქარიას ქართველ ისრაელთა რაბინებისაგან.“

ზ. ჭიჭინაძის მონოგრაფიაზე მსჯელობის დროს საგანგებო ყურადღება მის წყაროთმცოდნეობით მხარესაც მინდა მივაქციო. როგორც წიგნიდან ნათლად ჩანს, ავტორს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოში ებრაელთა მკვიდრობასთან დაკავშირებით არსებული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა ცნობა და მათზე დაყრდნობით მოგვითხრობს ქართველი ებრაელების ისტორიას.

ზ. ჭიჭინაძემ, როგორც ჩვენი წარსულის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე მწიგნობარ-ისტორიკოსმა, ქართველ ებრაელთა ისტორიისა და თანადროული ყოფის ამსახველ თავის წიგნს ორი უმთავრესი ფუნქცია დააკისრა, რაც წარმატებით განახორციელა კიდევ: ერთის მხრივ, ქართულ წერილობით წყაროებში ებრაელთა შესახებ არსებული დოკუმენტური მასალის მოძიება და სათანადო კომენტარებით მკითხველისათვის მათი მიწოდება და, მეორეს მხრივ, იმ კეთილგანწყობით დამოკიდებულების ჩვენება, რასაც ქართველი ხალხი იჩენდა ებრაელების მიმართ ტრადიციულად.

ამ დამოკიდებულების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ზ. ჭიჭინაძე იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ ქართველი ებრაელები ქართული ენობრივი სივრცის ღვიძლ ნაწილად იყვნენ ქცეულნი. ავტორის შეფასებით, ქართული ენა მათ იმდენად სისხლხორცეულად ჰქონდათ გათავისებული, რომ იგი საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადასახლებული ებრაელებისთვისაც კი რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე მშობლიურ ენად. მწერლის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ქართველ ებრაელთ უძველეს დროდამ ქართული ენა შეინახეს თვით აღმოსავლეთის უშორეს ქვეყნებში, ასევე მოხდა ლაზისტანისკენ, ტრაპიზონშიც კი შეინახეს ქართველ ებრაელთა ქართული ენა. ტრაპიზონს დღესაც ამ ენით ლაპარაკობენ“.

თუმცა, ქართულ ენობრივ და ყოფით სამყაროსთან ასეთი სიახლოვე ქართველი ებრაელებისათვის არასოდეს ქცეულა ხელისშემშლელ ფაქტორად მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების გზაზე.

ზ. ჭიჭინაძის წიგნში იმ გარემოებასაც არაერთგზის ესმება ხაზი, საქართველოში შეუზღუდველად ცხოვრების მიუხედავად, ქართველ ებრაელობას მათ ისტორიულ სამშობლოსთან კვლავაც რომ ჰქონდა შენარჩუნებული ახლო კავშირ-ურთიერთობა და ისინი გულით „ყოველთვის მიილტვოდნენ თავიანთი გულჩამწვარი და დატყვევებული ქვეყნისაკენ“. სწორედ ისტორიული სამშობლოს მონატრების ნიაღში სათავედადებული ეს მარადიულად თანამდევნი სევდა განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ქართველი ებრაელები „ურიასტანის ყოველ მოვლენას, ყოველ შინაგანს საქმეს და მოძრაობას მუდამ ჯეროვანს ყურადღებას აპყრობდნენ. ამისთვის მათ ჰქონდათ გაბმული ერთობა, წერილების განუწყვეტელი მიწერ-მოწერა, ნამეტურ საქართველოს ებრაელთა სასულიერო წოდებასაც დაახლოებული კავშირი ჰქონდა ურიასტანის სასულიერო გამგეობასთან. ესენი მათ ემორჩილებოდნენ უაღრესად. ყოველი ნაბიჯი ქართველ ებრაელთა სასულიერო წოდების ურიასტანის სასულიერო წოდების გამგეობას ექვემდებარებოდა.“

ზ. ჭიჭინაძის წიგნში ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში ებრაელთა განსახლების ადგილთა დახასიათებას. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ავტორი არა მარტო უზრალოდ ჩამოთვლის ყველა იმ ქალაქს, სადაც ებრაელები იყვნენ კომპაქტურად განსახლებულნი, არამედ ამ ადგილებში ებრაელთა დამკვიდრების დროისა და მათი ყოფა-ცხოვრების უმთავრეს თავისებურებათა შესახებაც ცდილობს მოგვანოდოს სათანადო ცნობები.

საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხალხთან ერთად ებრაელთა მეგობრული თანაცხოვრების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ზ. ჭიჭინაძე იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ „ქართველ ურიას საქართველო ძველთაგანვე ისე უყვარდა, როგორც თავისი ქვეყანა, სამშობლო და მისი მფარველობა, სადაც მას თავისუფლად შეეძლებოდა ყოფნა, ცხოვრება და თავისი ქონების და ცოლ-შვილის დაფარვა. ქართველი ერი მათ ისე უყვარდათ, როგორც უვნებელი მფარველი, პატივისმცემელი და ვაჭრობასა და მეურნეობაში დიდი მექონაგენი“.

ზ. ჭიჭინაძის მართებული ხაზგასმით, ებრაელთა ამგვარი დამოკიდებულება ქართველებისადმი ცალმხრივი მოვლენა არ ყოფილა და ისინი მათგანაც მუდამ გრძნობდნენ საპასუხო სიბოძასა და პატივისცემას. ასე რომ, „ქართველთა და ქართველ ებრაელთა შორის ძველთაგანვე დიდი სიყვარული ვრცელდებოდა და ქართველნი ებრაელნი დიდად სცემდნენ პატივს“. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართველი ებრაელები თავიდანვე „სარგებლობდნენ ისეთი სრული თავისუფლებით, როგორც თვით ქართველნი. მათში გარჩევა არაფრისა იყო. საქართველოს ებრაელთაც იცოდნენ საქართველოს სამეფოს და ქართველთა ასეთი საქციელი და ამიტომ ესენიც შესაფერისად უმზერდნენ და პატივს სცემდნენ მათ“.

ზ. ჭიჭინაძის ეს შეფასება მოვლენათა სუბიექტური და ტენდენციური განსჯის შედეგი არ არის და რეალურად წარმოსახავს იმ ურთიერთობას, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის იყო ისტორიულად დამკვიდრებული.

„ფორბსის“ ახალი სია

„ფორბსმა“ გამოაქვეყნა მილიარდერთა რეიტინგი.

„ფორბსის“ მიერ გამოქვეყნებულ მილიარდერთა სიაში ასეულობით ადამიანი მოხსენიებული.

სიას კვლავ მეთაურობს 73 წლის არაბული წარმოშობის მექსიკელი ბიზნესმენი **პარლოს სლიმ ხელუ** (73 მილიარდი დოლარი).

მას მოსდევს 57 წლის მილიარდერი **ბილ გაიტსი** (67 მილიარდი დოლარი).

რუსეთის ყველაზე მდიდარ კაცად გამოცხადდა 59 წლის მილიარდერი **ალიზა რუსმანოვი** 17,6 მილიარდი დოლარი, მსოფლიოში იგი 34-ე ადგილზეა).

მას ოდნავ ჩამორჩება 48 წლის **მიხაილ ვაქსელბერგი** (16,5 მილიარდი დოლარი, მსოფლიო მასშტაბით 41-ე ადგილზეა).

მილიარდერთა ახალ სიაში ისრაელის 17 მოქალაქეა – ისრაელელთა შორის ყველაზე მდიდარ ადამიანად ცნობილი იქნა **ილან მოშავი**, „ძმები ოფერების“ გენერალური დირექტორი (6,5 მილიარდი დოლარი, მსოფლიო მასშტაბით კი 182-ე) ხოლო მისი ძმა **პიალი** (6 მილიარდს ფლობს და მსოფლიოში 198-ეა).

სასიამოვნოა, რომ მილიარდერთა სიაში ქართული გვარიც გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ბ-ნი **ბიძინა ივანიშვილის** სიმდიდრეს მილიარდ დოლარზე მეტი დააკლდა, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი ამ სიაში საპატიო ადგილს იჭერს, დღეს იგი 5.3 მილიარდი დოლარის მფლობელია.. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დანაკლისაც მალე შეივსებს.

საქართველოს ებრაელობა. წარსულიდან მომავლისაკენ

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შიშის ათი წლისთავისათვის

(დასაწყისი „მ“ 2012 წ. №14,15,16-17; 2013 წ. №1,2)

გურამ ბათიაშვილი

36ეგანი „საქართველოს ებრაელობის“ გაშვება

თბილისში თებერვლის შუა რიცხვებში დავბრუნდი. მარტის დამდეგს მოშე (მიშიკო) მირილაშვილმა დამირეკა: „სხვა გზა არ არი, გაზეთი უნდა გააკეთო“. ყრილობის შემდეგ ლამის თვენახევარი გავიდა, კონგრესის გაზეთი კი არ სჩანდა. ქვეყნებში მიმოფანტული ქართველი ებრაელობისათვის ჯერაც უცნობი იყო, 22 იანვარს რა ნამონყებას დაედო სათავე იერუსალიმის „ბინიანიე ჰაუმაში“. თუ რამ იცოდნენ, ყურმოკვრით, სხვათა და სხვათა ნაამბობი. ბატონი მიშიკო სანკტ-პეტერბურგში გახლდათ, სატელეფონო კავშირი თითქმის ყოველდღე გვქონდა, ან თვითონ რეკავდა, ან — მე. ამით ის მინდა ვთქვა, რომ კონგრესის მდგომარეობა მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანი გახდა. ეს მისი სტილი იყო — არ შეეძლო გულგრილად მოჰკიდებოდა საქმეს.

გაზეთის კონცეფცია დიდი თავსატეხი არ იყო — ამ ყოველთვიურ გაზეთს უნდა აესახა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საქმიანობა, წარმოეჩინა კონგრესის ყოველდღიურობა. კი, მართალია, მიმოფანტული ქართველი ებრაელობა იცნობს ამა თუ იმ ქვეყანაში მოქცეული თანამემამულეების ცხოვრებას, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ წარმოგვეჩინა ღირსეული ქართველი ებრაელები, რათა მათი მოღვაწეობა საყოველთაოდ ყოფილიყო ცნობილი და ახალგაზრდობისათვისაც სამაგალითო გაგვეხადა. მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, თუ რა ხდებოდა კონგრესის ფილიალებში. წარმომადგენლობები გაიხსნა მოსკოვში, ნიუ-იორკში, ვენაში, თბილისში. ინფორმაცია კონგრესის მუშაობის თაობაზე ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. ეს აუცილებლობად მიგვაჩნდა, მაგრამ ამ აუცილებლობამ ერთი საკმაოდ რთული, ანგარიშგასაწევი რეალობის წინაშე დაგვაყენა: აშშ-ში, რუსეთში, ისრაელში ცხოვრების ასპარეზზე უკვე გამოხუცილიყო, ღვთის მადლით, კვლავაც გამოდიოდა თაობა, რომელიც ქართულად ვეღარ კითხულობდა. ეს კი ნიშნავდა: თუ გაზეთს მხოლოდ ქართულ ენაზე გამოეცემოდა, ინფორმაციას ვერ ვანდობდით ხვალნდეულ ქართველ ებრაელობას, ვკარგავდით მომავალს, მოვექცეოდით დახურულ წრეში.

ძალიან რთულ გზას დავადექი: გაზეთი ოთხ ენაზე უნდა გამოეცა: ქართულ, ებრაულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მართალია, ამას პირველივე ნომრიდან ვერ მოვახერხებდი, მაგრამ გეზი ამ მიმართულებით ავიღეთ. ოთხენოვანი გაზეთი ყოველი თაობის, მდგომარეობის ქართველ (და არა მხოლოდ ქართველ!) ებრაელ მკითხველს შეატყობინებდა საქართველოს ებრაელობაში მიმდინარე პროცესებს. საგაზეთო მასალების (ძირითადად კონგრესის საქმიანობის ამსახველი) ინგლისურ და რუსულ ენებზე მთარგმნელის პოვნა თბილისში არ გამჭირვებია, ასეთი ბევრია. აი, ივრითული კი... ჩვენი მთავარი რაბინის — არიელ ლევიანის რჩევით, შალვა დავითაშვილს — მის ყოფილ მონაფეს — მივმართე. იმჟამად იგი აშდოდში მოღვაწეობდა. შალვა დავითაშვილს გასამრჯელოსა თუ სხვა საკითხებზე იაკობ ოფირი მოელაპარაკა. (მოგვიანებით, როცა შალვა დავითაშვილს დრო აღარ ჰყოფნიდა, საგაზეთო მასალების ივრითზე თარგმნა ცისანა ბინიაშვილს ვთხოვეთ). ჯერ შალვა, მერე — ცისანა თარგმნილ მასალებს ელექტროფოსტით გვიგზავნიდნენ, ე.წ. „ვორდის“ პროგრამით, მაგრამ „ვორდის“ ივრითული ტექსტი დაკაბადონებისას განლაგებას იცვლიდა — გადმოდიოდა არა სემიტური წყობით, არა მარჯვნიდან მარცხნივ წასაკითხად, არამედ მარცხნიდან მარჯვნივ. გამოდიოდა სრული უაზრობა. ასე გაზეთის გამოცემა სხვა თუ არაფერი, სასაცილო იქნებოდა. ამიტომ კომპიუტერულ ცენტრში, ლამის ღამეებს ვათენებდით. დიდი ჯაფა გვადგა, რომ სტრიქონთა შეცვლილი განლაგება სწორად დაგველაგებინა.

„საქართველოს ებრაელობა“. ასე ვუწოდეთ გაზეთს. მოგვიანებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კონგრესის აპარატის ზოგიერთ „ბრძენთაბრძენ“ თანამშრომელს ერთი რუბ-რუზი წამოუწყია, ეს კონგრესის კი არა, საქართველოს ებრაელობის გაზეთიაო. მოეჩვენათ, რომ ეს სათაური გულისხმობდა არა საქართველოდან გასულ და დღეს ბევრ ქვეყანაში მიმოფანტულ საქართველოს ებრაელობას, არამედ ერთ ქვეყანაში — საქართველოში — მცხოვრები ებრაელობის ცხოვრებას. არადა, კონგრესს ხომ ასე ჰქვია: „საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი“. იგი საქართველოს ებრაელობის ცენტრი, მესიტყვე გახლდათ და გაზეთიც ამას გამოხატავდა.

გაზეთის ლოგოს შექმნა მშვენიერ არქიტექტორს — შოთა ბოსტანაშვილს ვთხოვე. შოთამ ადრე „მენო-

რას“ ჩინებული ლოგო შექმნა: აგერ უკვე ოცი წელია „მენორა“ შოთა ბოსტანაშვილის დასურათხატებული გამოდის და მკითხველი, ალბათ, დამერწმუნება: იგი არ მოძველებულია. (შ. ბოსტანაშვილმა მოგვიანებით ჩემი რომანი — „მეათე კაცი“ ასევე ჩინებულად მოხატა) შოთას მიერ შექმნილი „საქართველოს ებრაელობის“ ლოგო ძალიან მომწონს, როგორც ვიზუალურად, ასევე კონცეპტუალურად.

გაზეთის პირველი ნომერი სემკ-ის დამფუძნებელ ყრილობას მიეძღვნა. აქ დაიბეჭდა მიშიკო მირილაშვილის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის — არიელ შარონის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის — ავთანდილ ჯორბენაძის გამოსვლები, საქართველოსა და ისრაელის პრეზიდენტების — ედუარდ შევარდნაძისა და მოშე კაცავის მისაღმებები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყრილობაზე გამოსული ყოველი ორატორის სიტყვის მთავარი სათქმელი. და ეს მაშინ, როცა ყრილობასა და საღამოს გამართულ ფორუმზე 34 ორატორი გამოვიდა.

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, კონგრესის გენ. დირექტორს იაკობ ეფრემაშვილს ასეთი წერილი გავუგზავნე:

იაკობ ბატონო!

დღეს საღამოს გამოდის კონგრესის გაზეთი „საქართველოს ებრაელობის პირველი ნომერი“. ბატონმა პრეზიდენტმა გაანაწილა, თუ რომელ ქვეყანაში რამდენი ეგზემპლარი დაიგზავნოს. ამიტომ გთხოვ ფაქსით გამოგიგზავნო მისამართები ჩვენი წარმომადგენლობებისა ყველა ქვეყანაში, ინგლისურ ენაზე. გვსურს ხვალდანვე დავიწყოთ დაგზავნა.

ასევე გთხოვ დაავალო ბატონ სულიკოს (ძალიან დიდ დახმარებას გვიწვედა კონგრესის თანამშრომელი — აწარდაცვლილი სულიკო ციციაშვილი. იგი სისტემატურად გვაწვდიდა მასალებს, არა მხოლოდ კონგრესის მოღვაწეობის, არამედ ისრაელის ქართველი ებრაელობის თაობაზე. ბ-ნი სულიკო ერთოპ სათნო ადამიანი გახლდათ.) გადმოგიგზავნოს ოქმები მნიშვნელოვანი სხდომებისა. ჩვენ ამათგან გავაკეთებთ საგაზეთო მასალებს კონგრესის საქმიანობის თაობაზე (კომისიები, პრეზიდენტის გადაწყვეტილებანი და სხვ.).

ასევე გთხოვ გადმოგიგზავნოთ უცხოეთის ქვეყნებში ჩვენს წარმომადგენლობათა მისამართები, ტელეფონის ნომრები, არა მხოლოდ ისრაელში, არამედ ყველა ქვეყანაში.

მომავალ ნომერში მოთავსდება ანკეტა ქართველ ებრაელთა აღწერის თაობაზე.

თქვენგან კვლავ ველოდები მასალებს საქართველოში წარმომადგენლობის რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით გურამ ბათიაშვილი.

24.03.03

მოგვიანებით, ისრაელში ყოფნისას არონ ელაშვილის რჩევით ბათ-იამის ერთ-ერთი სტამბის დირექციას მოველაპარაკე. დაკაბადონებულ გაზეთს „პდფ“ ფორმატში ვუგზავნიდი, იქ კი იმავე დღეს იბეჭდებოდა. მეორე დღით გაზეთი კონგრესში ჰქონდათ.

* * *

ერთ მშვენიერ დღეს, თელ-ავივში, კონგრესში ყოფნისას, გამგეობის სხდომების ოქმებთან და სხვა აუცილებელ მასალებთან ერთად ეს წერილი გადმომიცეს:

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს — ბ-ნ მიხაელ მირილაშვილს ისრაელში მცხოვრები პროფესიონალი ჟურნალისტების მიმართვა

დიდად პატივცემულო ბატონო მიხაელ, პირველ რიგში, მთელი თქვენი ოჯახი და შემდეგ ის ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც, თქვენთან ერთად, აფინანსებენ კონგრესს, მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი მადლობის ღირსნი ბრძანდებით. პირადად თქვენ ნამდვილი ადამიანურობის ეტალონად მიგვაჩნისართ და მოწიწებით ვხრით თავს თქვენი ნათელი პიროვნების წინაშე.

ბევრი სანაქებო სიტყვა გვეთქმის თქვენი მისამართით, მაგრამ ამჯერად ერთგვარი საყვედურით გვინდა მოგმართოთ და, თქვენი დიდსულოვნების ამბავი რომ ვიცით, დარწმუნებული ვართ არ გვიწყენთ, რამეთუ ეს წერილი თქვენდამი და ჩვენი ხალხისადმი დიდმა სიყვარულმა დაგვაწერინა.

საქმე შემდეგშია:

ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე წარმოთქმულ თქვენს სიტყვაში, სხვათა შორის, დიდი გულისტკივილით თქვით, რომ ისრაელში გაზეთის გამომშვები ვერაჟინ მონახეთ და იძულებული იყავით ბ-ნ გ. ბა-

თიაშვილისათვის გეთხოვით კონგრესის გაზეთის თბილისში გამოშვება. ეს რომ სხვა ვინმეს ეთქვა, ჩვენი და ჩვენი კოლეგების პირად გაღანძვად მივინგვდით, მაგრამ, საქმის ვითარების გაანალიზების შედეგად, დავრწმუნდით, რომ თქვენ შეცდომაში ბრძანდებით შეყვანილი.

ბატონო მიხაელ, ალბათ იმის გამო, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდით, კარგად არ იცნობთ აქაურ ებრაელობას, თორემ გეცოდინებოდათ, რომ ქართველი ებრაელი ჟურნალისტების ყველაზე დიდი და საუკეთესო ძალები სწორედ ისრაელშია თავმოყრილი. მათ შეუძლიათ მარტო ერთის კი არა, რამდენიმე გაზეთის გამოშვება კონგრესისათვის და თანაც გაცილებით უკეთესისა, ვიდრე საქართველოში უშვებთ, — როგორც თემატური, შინაარსობრივი, ენობრივი და პროფესიული, ასევე პოლიგრაფიული თვალსაზრისით. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, თქვენთან დაახლოებულ პირებს არ მოუწოდებიათ თქვენთვის სწორი ინფორმაცია ამ საკითხზე და ამიტომ, არ მივიმართავთ აქაური ჟურნალისტებისათვის, თუ მხედველობაში არ მივიდებთ ერთ არასასიამოვნო ფაქტს:

ყრილობის დამთავრების მეორე დღესვე პირადად თქვენ შესთავაზეთ ჟურნალისტ თამარ მამისთვალოვს* კონგრესის გაზეთის გამოშვება და ყრილობაზე წაკითხული თქვენი მოხსენება გადაეცით მომავალ გაზეთში გამოსაქვეყნებლად. თამარი შეუდგა გაზეთზე მუშაობას და ერთი კვირის შემდეგ მოულოდნელად უთხრეს — „გაზეთი თბილისში წაიღეს“.

შეგახსენებთ, რომ კონგრესის ყრილობის წინა დღეებში, უაღრესად კრიტიკულ მომენტში თამარს ეთხოვა გაზეთის გამოშვება და მან მარტოდ-მარტომ სარეკორდო დროში — ერთი უძილო დღე-ღამის განმავლობაში მოამზადა გაზეთის წინასაყრილობო ნომერი სტამბაში ჩასაშვებად.

ბატონო პრეზიდენტო! ძლივს დავაღწიეთ თავი მრავალსაუკუნოვან გალუთს. ძლივს მივაღწიეთ იმ მდგომარეობას, როცა ჩვენი თავის ბატონ-პატრონი ჩვენვე ვართ და ახლა ისტორიის ჩარხი უკუღმა უნდა დავატრიალოთ? ჩვენი კულტურის ცენტრი უნდა გადავიტანოთ გალუთის ქვეყანაში, სადაც ქართველ ებრაელთა მხოლოდ 5-6 პროცენტიღაა დარჩენილი?! სად არის აქ ებრაული აზრი და ლოგიკა?..

ჩვენ გულწრფელად ვამბობთ:

არც ერთი პიროვნებისადმი პირადი ინტერესი არა გვაქვს. არც სხვებზე ნაკლებად გვიყვარს ჩვენი დედობილი საქართველო. მაგრამ გვრცხვენია ჩვენი მოძმე ქართველი ხალხისა იმის გამო, რომ „...თურმე იძულებული ვყოფილვართ თბილისში გამოგვეშვა მთელი მსოფლიოს ქართველი ებრაელობის გაზეთი“ (!!!), გამოდის, რომ ქართველ ებრაელთა 170-ათასიან არმიას (რომლის 90 პროცენტზე მეტი ისრაელში ცხოვრობს) ერთადერთი ჟურნალისტი ჰყოლია და ისიც... საქართველოში. ეს მარტო ჩვენი — ისრაელში მცხოვრები ჟურნალისტებისა კი არა, — მთელი ისრაელის დამცირება! სინამდვილეში, ისრაელის ქართველ ებრაელობას ჟურნალისტიც ბევრი ჰყავს და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელად ვარგისი კანდიდატიც, რომელთაც ჩვენი ხალხისადმი უანგარო სამსახურის მდიდარი გამოცდილება აქვთ და მშვენივრად იციან ივრითიც და ისრაელის კანონებიც.

და კიდევ ერთი რამ:

ბატონო პრეზიდენტო, თქვენი უშუალო ინიციატივითა და დავალებით თამარ მამისთვალოვმა ითავა ჟურნალის რედაქტორობა. ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული პირველი ინციდენტის გამო, იგი ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებაზე დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ჟურნალი იარსებებდა მინიმუმ ერთ წელიწადს მაინც და ამის შესახებ დაიდებოდა წერილობითი ხელშეკრულება. ეს მოხდა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის ბატონ გაბრიელ მირილაშვილის თანდასწრებით და მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების დადებაზე. თამარმა სათანადო ტექსტიც მოამზადა და ბ-ნი ი. ეფრემაშვილის მეშვეობით გადმოგვგზავნათ პეტროგრადში ხელმოსაწერად.

როგორც მოგეხსენებათ, ორი თვის წინ ისრაელში გამოიცა პირველი ნომერი ბრწყინვალე ჟურნალი-

*თამარ მამისთვალოვი ისრაელში ამოსვლამდე იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი (რაც უიშვიათესი შემთხვევაა საქართველოს ებრაელთა შორის), ხოლო რეპატრაციის შემდეგ იგი არის ისრაელის ჟურნალისტთა კავშირის და ჟურნალისტთა მსოფლიო ფედერაციის წევრი და ისრაელის მთავრობის პრესბიუროს წარმომადგენელი.

სა „ერთობა“, რომელიც დიდი მოწონებითა და აღფრთოვანებით მიიღეს მკითხველებმაც და საქმის მკოდნე სპეციალისტებმაც.

ეს ჟურნალი ჟანგბადივით სჭირდება კონგრესს და ვისაც კონგრესისთვის სიკეთე სურს,მხარი უნდა დაუჭიროს არა მარტო მისი გამოცემის გაგრძელებას, არამედ მისი მოცულობის გაზრდასა და პერიოდულობის გახშირებასაც. მაგრამ როგორც ირკვევა კონგრესის სადავეების მმართავ ზოგიერთ ადამიანებს გადაუწყვეტიათ ჟურნალის დახურვა იმ საბაბით, რომ კონგრესს ჟურნალისთვის საჭირო სახსრები არ გააჩნიაო. ბატონო მიხაელ ხომ არ მეორდება კონგრესის გაზეთის ვარიანტი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ?

კვარტალური ჟურნალის გამოცემა კონგრესს უჯდება დაახლოებით 8 ათასი შეკეში თვეში.

ისმება კითხვა: აქვს თუ არა არსებობის უფლება კონგრესს,რომელსაც თვეში 1500 დოლარის გაღება არ შეუძლია,ისეთი მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმისათვის,როგორიც ასეთი მაღალი დონის ჟურნალის გამოცემაა?

საზღვარგარეთიდან მიღებულ, კომპეტენტურ პიროვნებათა წერილობით გამოსმაურებებში აღფრთოვანებით მიესალმებიან ჟურნალის გამოცემას და მაღალ შეფასებას აძლევენ მის პროფესიულ დონეს.

თუ მართლა მხოლოდ ფინანსებზეა საქმე, ჩვენ შეგვიძლია ისე ვაარსებოთ ჟურნალი „ერთობა“, რომ ერთი აგორაც არ დაუჯდეს კონგრესს,მაგრამ ფფიქრობთ, არც ამაზე დათანხმდებიან „ზოგიერთები“. მათ აღბათის,ის არ უნდათ,რომ ჟურნალის რედაქტორი იყოს ისეთი მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, როგორიც თამარ კეხერაშვილია. არსაკიძისა არ იყოს: „დამიჭირეს,მკლავი მომჭრეს,რატომ კარგი ავიგიაო“ („დიდოსტატის მარჯვენა“).

ბატონო პრეზიდენტო, ჟურნალი „ერთობა“ რომ კარგია ეს თქვენ ძალიან კარგად იცით,და სხვებმაც იციან. მაგრამ ხომ გაგიოწინიათ: „ცუდას რად უნდა მტერობა,კარგია მუდამ მტრიანი...“

მკითხველთა და სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა ჟურნალის გამოცემის გაგრძელებას უჭერს მხარს,და რაკიდა კონგრესი მთელი მსოფლიოს ქართველი ებრაელობის სახელით მოქმედებს,მან ანგარიშიც უნდა გაუწიოს ჩვენი თემის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებს!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ:

1. კონგრესის ყველა პრესის ორგანო გამოიცეს მხოლოდ და მხოლოდ ისრაელში;

2. გაგრძელდეს ჟურნალ „ერთობის“ გამოცემა;

3. როცა კონგრესში პრესის საკითხები წყდება,ამ საკითხებზე მსჯელობისას მიწვეული უნდა იყვნენ ისრაელში მცხოვრები პროფესიონალი ჟურნალისტები.

4. კონგრესის კომისიების კურატორმა – ბნმა დავით ბააზოვმა გაარკვიოს და წერილობით გვაცნობოს, თუ ვის მიერ და რატომ გაუქმდა თამარ მამისთვალოვის ინიციატივით მოწვეული პრესის კომისიის სხდომას, რომელიც დანიშნული იყო 1-ლი აპრილისათვის,ჟურნალის პირველი ნომრის განსახილველად.

ბატონო მიხაელ, ბოდიშს ვიხდით, რომ იძულებული გავხდით თქვენთვის ასეთი წერილი გვეკადრებინა,მაგრამ საქმემ მოითხოვა,– საერთო საქმემ!

ველით სწრაფ რეაგირებას ჩვენს მომართვაზე. თქვენი წერილობითი პასუხის მიხედვით, ავწონ-დაფწონით ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს.

უდრმესი პატივისცემითა და მოკრძალებით:

თამარ მამისთვალოვ-კეხერაშვილი, გერშონ ბენ-ორენი (წიწკაშვილი), აბრამ მამისთვალოვი, ცისანა ბინიაშვილი და სხვები.

P.S. ჩვენს მოთხოვნებს სამართლიანად მიიხნევენ ჩვენი კოლეგები და კონგრესის წარმომადგენლები დიასპორიდან:

ჯემალ აჯიაშვილი – ჟურნალისტი, მწერალი, პარლამენტარი – თბილისი.

ეთერ ფიჩხაძე – ჟურნალისტი, ამერიკის ხმის რედაქტორი. ვაშინგტონი.

ოთარ სეფიაშვილი – ჟურნალისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ქ. ნიუ-იორკი.

როკეტლიშვილი მიხაელი – აკადემიკოსი, პუბლიცისტი. ქ. ნიუ-იორკი.

იაკობ ფიჩხაძე – სახვითი ხელოვნების ოსტატი კანადა, ტორონტო, და ა.შ.

წერილს თან ერთვის მათი გამოსმაურებანი.

წერილის ასლები გვზავნებათ: კონგრესის ვიცე-პრეზიდენტს, კონგრესის თანათამჯდლომარეებს, ჟურნალ „ერთობის“ სარედაქციო კოლეგიისა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს,კონგრესის წარმომადგენლებს დიასპორაში.

მენადა, მხოლოდ ეს წერილი გამეცნო მკითხველისათვის და არა-რა კომენტარი არ დამერთო მისთვის, რადგან წერილი თავისთავად ღალადებს, თუ

რა გზას ადგანან მასზე ხელისმომწერნი. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნდა (რალა კომენტარი უნდა,როცა ადამიანები წერენ გვიყვარხართ, პატივისცემითა და მოკრძალებით გწერთო და თან კი არ გთხოვენ,საკითხს განხილვის ნესით კი არ სვამენ, **მოითხოვენ**, მეფარვით გემუქრებიან კიდევ: თუ ისე არ მოიქცევი, როგორც ჩვენ გვნადია, ჩვენ ვიცით და ჩვენმა შემტევმა, რევოლუციონურმა გუნება-განწყობილებამო: **„აქვს თუ არა არსებობის უფლება კონგრესს, რომელსაც თვეში 1500 დოლარის გაღება არ შეუძლია, ისეთი მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმისათვის, როგორიც ასეთი მაღალი დონის ჟურნალის გამოცემაა?“**, ან კიდევ: **„თქვენი წერილობითი პასუხის მიხედვით ავწონ-დავწონით ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს“** მაგრამ დრომ, დროში თავჩენილმა გარემოებებმა მიკარნახა, რომ საზოგადოებას მივანოღო რამდენიმე ინფორმაცია, რომელიც მას კარგად დაარწმუნებს ხელმომწერნი და მათი მხარდამჭერნი, როგორ და რისთვის ერთიანდებიან.

მართალია, წერილს ოთხი პიროვნება აწერს ხელს, ერთი ამდენი კი შესძახის ხელს არ ვაწერთ, მაგრამ ამ საქმეში თქვენს გვერდით ვდგევართო (თურმე ჯერ კიდევ როდის და რისთვის კონინდებოდა ჩემს წინააღმდეგ დაგეშილი ადამიანების რაზმი. მე კი წარმოდგენაც არ მქონდა იმაზე, თუ ჩემს ახლობლად, ნათესავ-მეგობრად შეგულვებულ ადამიანებს, 2004 წელს, რა მუცლის გვრემაც (ჰქონიათ) ვვარაუდობ, რომ წერილი თ. მამისთვალოვმა დაწერა. მას ახასიათებს ასეთი „სითამამე“ (ქვემოთ მის მიერ ასეთივე „სითამამით“ დაწერილ კიდევ ერთ წერილს გაგაცნობთ) არა ვგონებ, ანგანსვენებულ ა. მამისთვალოვსა და გ. ბენ-ორენს დაეშვათ ისეთი შეცდომები, როგორიც ამ წერილშია.

ამ წერილის გაცნობის შემდეგ მომაგონდა ბ-ნი მიშიკოს მიერ თითქმის ხუმრობით ნათქვამი ფრაზა; „მწერლებს რატო არ უყვართ ერთმანეთი!“ და ჩემი ლიმილიანი პასუხი: „მწერლებს კი უყვართ, მაგრამ აქ იმდენი გაიძახის მწერალი — ქვეყნის თვალი, ვარო, ალბათ, ყველა ვერ ჩაიტყის გულში“ მე ზოგადად გამბობდი. თურმე, მან ბევრი რამ იცოდა და დაუნდობლობის გაუმხელელ ტკივილს გულით ატარებდა — დაკვირვებულ მკითხველს ზემოთ მოხმობილი წერილის ქვეტექსტში შეფარული მუქარის ამოკითხვა არ გაუჭირდება: ჩვენ — „სვეტებს“, მწერლებს, მეცნიერებს „მაღალპროფესიონალი ჟურნალისტებს“ კულშელმა კაცმა არ გვანწყენინო, თორემ, ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს: ე.ი. პასუხის მიხედვით გადავწყვიტეთ, როგორ მოვიქცეთო.

ახლაკი ის ვნახოთ, როგორ ატყუებს თ. მამისთვალოვი და კომპანია სემ კონგრესის პრეზიდენტს მ. მირილაშვილს, ე.ი. როგორ „აბოლებენ“ ქართველ ებრაელობას: **„თ. მამისთვალოვი ისრაელში ამოსვლამდე იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი (რაც უიშვიათესი შემთხვევაა საქართველოს ებრაელთა შორის)“**.

დახეთ: იშვიათი, კი არა, „უიშვიათეს შემთხვევასთან“ გვქონია საქმე! ვითომ ო. სეფიაშვილი ბანძის ჟურნალისტთა კავშირის წევრი იყო, დავით მელუხა – ფეთხაინის, მიხეილ დავითაშვილი – ქუთაისის (იმ წლებში ებრაული ეროვნების ქეშმარიტ ჟურნალისტებად სწორედ ამათ ვიცნობდით, თამარ მამისთვალოვის ჟურნალისტობა არც გაგვეგო), გ. ბათიაშვილი კი – სენაკის ჟურნალისტთა კავშირისა. „პროფესიონალი ჟურნალისტები“ იტყუებიან! ასე არ იყო: ნებისმიერ რაიონულ გაზეთიც ორი-სამი წელი რომ გემუშავა, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი ხდებოდი. ყველანი სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრები ვიყავით, მაგრამ „უიშვიათესად“ არ მიგვაჩნდა თავი.

„თუ მართლა მხოლოდ ფინანსებზეა საქმე, ჩვენ შეგვიძლია ისე ვაარსებოთ ჟურნალი „ერთობა“, რომ ერთი აგორაც არ დაუჯდეს კონგრესს“ — აცხადებენ „მაღალპროფესიონალი ჟურნალისტები“ და მე მიჩნდება კითხვა: სად არის, ეს თვითდაფინანსებაზე გადასვლა. იმ დღიდან ცხრა წელიწადი გავიდა. დღეს არ უჯდება კონგრესს ეგ „ერთობა“, ვითომ 1500 დოლარი? იქნებ, ორჯერ უფრო მეტიც!

ერთ გარემოებას ნამდვილად ვერ ავუქცევ გვერდს. იგი გვეხება ყველას. განსაკუთრებით ეხება იმათ, ვისთვისაც საქართველოს ებრაელობის მონაპოვარი – სემ კონგრესი, მისი ხვალინდელი დღე სულერთი არ არის: თ. მამისთვალოვმა არ იცის, რა ორგანიზაციაში მსახურობს, რა მიზანი აქვს მას, რისთვის შეიქმნა.

21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე მირილაშვილების ოჯახის მეთაურობით, შეიქმნა **საერთაშორისო ორგანიზაცია** – საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი. ვიმეორებ: საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რაც ნიშნავს: კონგრესი აერთიანებს არა მხოლოდ ისრაელის ქართველ ებრაელობას და მუშაობს ყველა იმ ქვეყანაში, რომელშიც საქართველოდან წასული ებრაელები დასახლდნენ. კონგრესის ძლიერების დასტური ის იქნება, თუ როგორ, რით, რა საქმიანობით დაადასტურებს და გააძლიერებს თავის არსებობას ამა თუ იმ ქვეყნის ქართველ ებრაელობაში. კონგრესი უწინარეს ყოვლისა, ქართველ ებრაელთა

ისტორიის, დღევანდელობის, ღირსების ინსტიტუტად გახლავთ ჩაფიქრებული. მისი ყურადღების ცენტრში ექცევა საქართველოში დარჩენილი და საქართველოდან გასული ებრაელობა, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობს იგი: ლუდში, ქუთაისში, ანტვერპენსა თუ ქვინსში. კონგრესი მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიაზრება საერთაშორისო ორგანიზაციად – მან ყველგან უნდა აკეთოს საქართველოს ებრაელობის საქმე – ყველა ქვეყანაში სადაც ქართველი ებრაელობაა.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა მიშიკო მირილაშვილი, როცა მე მირეკავდა და გაზეთის გამოცემას მავალებდა.

თ. მამისთვალოვი და მისი მეაბჯრენი სრულიად სხვა სიბრტყეზე არიან: წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ შეიქმნა **არა ისრაელის ქართველ ებრაელთა კონგრესი**, არამედ **საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი** და პრეზიდენტს საყვედურობენ, საქართველოში რატომ უნდა გამოდიოდეს კონგრესის გაზეთიო.

ხოლო რაც შეეხება ისეთ ენობრივ შეცოდებებს, როგორიც გახლავთ „კონგრესის ყველა პრესის ორგანო“, „კონგრესის სადავეების მმართავ ზოგიერთ ადამიანებს“ და სხვ. მაღალპროფესიონალი ჟურნალისტები არ უშვებენ.

გაზეთი თბილისში მზადდებოდა, ისრაელში იბეჭდებოდა, აქედან მიეწოდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველ ებრაელობას. თამარ მამისთვალოვმა და კომპანიამ პრეზიდენტს შენიშვნა მისცა, ასე როგორ შეიძლება, საუკეთესო ქართველი ებრაელი ჟურნალისტები სწორედ ისრაელში ვცხოვრობთ და კონგრესის გაზეთი აქ უნდა გამოდიოდესო. ბ-ნი მიშიკო მშვიდობიანი ურთიერთობისაკენ მიდრეკილი კაცი იყო – ყაყანს, აურზაურს მოერიდა (ხომ დაემუქრა ეს ხალხი თქვენი პასუხის მიხედვით ავწონ-დავწონით ჩვენს შემდგომ ნაბიჯებსო), ისიც კარგად იცოდა, რომ ჩემგან არა-რა წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა და აი, 2004 წლის სექტემბერში, ვკითხვოდა ვცხტ-პეტერბურგიდან (და არა პეტროგრადიდან, როგორც ამას მომჩივანნი წერენ. მაგრამ რა გაენყობა: ისევ იმ დროში არიან, როცა პეტრე დიდის ქალაქს პეტროგრადი ერქვა) დამირეკა პრეზიდენტის თანამემნემ იან ფიჩხაძემ თბილისში გაზეთის მომზადება უნდა შეწყდეს, ამიერიდან თელ-ავივში მომზადდება და გამოიცემათ.

კეთილი და პატიოსანი! აქამდე ძალონე არ დამიშურებია გამეკეთებინა კონგრესისათვის ესოდენ საშური საქმე. ისედაც გადატირთული ვარ: ვრედაქტორობ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“, ვცემ გაზეთ „მენორას“, სასწავლო წლის დასაწყისში მიმიწვიეს საქართველოს შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვკითხულობ ლექციებს, ჩემი დღე-ღამის განრიგში ღამე და დილა ლიტერატურულ ცხოვრებას ეკუთვნის (სწორედ იმ წლებში გატაცებით ვმუშაობდი – მასალებს ვაგროვებდი რომანისათვის „ჟამი ღუმილისა და ჟამი უზნობისა,“) ყველაფერ ამას დიდი დრო, ენერგია მიჰქონდა.

მართლაც, კეთილი და პატიოსანი!

რამდენიმე დღეში თელ-ავივშიდ მირეკავს დ. ბააზოვი „ბატონი გაბრიელი გთხოვს „საქართველოს ებრაელობის“ გამოცემა განაგრძო, კონგრესს ორი გაზეთი ექნება“. მოგვიანებით ამ საკითხზე გაბრიელი პირადად მესაუბრება. მე წინადადებაზე უარს ვამბობ.

საკითხი ამოწურულია, ამოწურულია? ვნახოთ, როგორ ვითარდება მოვლენები.

კონგრესი გაზეთის გამოცემას თელ-ავივში იწყებს. მოიწვიეს ცნობილი მოღვაწე დავით შიმშილაშვილი, დავითი და მისი მეუღლე — ქ-ნი მაია რეგულარულად სცემენ გაზეთს. იგი კონგრესის ცხოვრებასაც ასახავს და მსოფლიოს ქართველ ებრაელობაში მიმდინარე პროცესიებზეც გვანვდის ინფრომაციას.

ისევ კეთილი და პატიოსანი?გეგონოთ!

თ. მამისთვალოვი, რა იგრძნო შიმშილაშვილები დამოუკიდებელ გზას ადგანან და მხოლოდ კონგრესის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს უწევენ ანგარიშს და არა „მაღალკვალიფიციურ ჟურნალისტს“, კვლავ უკმაყოფილოა. თელ-ავივში, კონგრესში ყოფნისას მესმის, რომ უსიამოვნებათა ესკალაციას ბოლო არ უჩანს. დაძაბულობა ძლიერდება, ერთ-ერთი მიმშილაშვილის ჯამრთელობას საფრთხეც კი ექმნება.

2009 წლის იანვარში კონგრესის გენდირექტორი ჯ. აჯიაშვილი ხდება. თებერვალში კონგრესის „ელიტარული კლუბის“ სხდომაზე გ. ბენ-ორენი,რომელიც თ. მამისთვალოვის დაჯგუფებაში მოიაზრება, მამხილებელი პათოსით გამოდის და ნეგატიურად აფასებს როგორც ექსგენდირექტორის, ასევე გაზეთის მუშაობას და მიესალმება ჯ. აჯიაშვილის დანიშვნას (არ დავმაღავ: ეს განწყობა ჩემზეც გადამდებად მოქმედებს. აქ მთავარი მაინც ახლადდანიშნული ჯ.აჯიაშვილისადმი მხარდაჭერის სურვილი იყო და ეს არც ჩემს გამოსვლაში დამიმალავს) მალე ცნობილი ხდება, რომ კონგრესის გაზეთსაც ჯემალი უდგება სათავეში.

(გაგრძელება იქნება)

„მენორა“ 20 წლისაა

ებრაელი ხალხის გადარჩენის დღესასწაულის — ფურიმის წინა დღეებში 1993 წლის მარტში დაიბადა გაზეთი „მენორა“, რომელმაც გაანათა, გაასხივოსნა ჩვენი ყოველდღიურობა.

საქართველოს ებრაელობას გაუჩნდა თავისი ტრიბუნა. იგი იყენებდა და იყენებს ამ ტრიბუნას. გაზეთმა გამოავლინა ჩვენი ისტორიის არაერთი სასახელო ფაქტი, უფრო სწორედ, გაზეთის ავტორებმა.

თითქოს საქართველოში არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც გასწევდნენ ავტორობას, დასწერდნენ საინტერესო მასალებს.

ყოფილან, გამოჩნდნენ — როგორც კი ასპარეზი დაინახეს, ბევრმა ჩინებულმა ქართველმა ებრაელმა, სრულიად სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, ისახელა თავი.

გაზეთი საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობას ასახავდა და ასახავს.

თემის ცხოვრებაში კი ყოველთვის როდი ხდება საამო, სასიამოვნო რამ — ზოგჯერ ისიც ხდება, რაც ამ დიდებული თემის ღირსებას აკნინებს.

გაზეთი განაგრძობს ქართული ჟურნალისტიკის დიდებულ ტრადიციას — იყოს ობიექტური, მართალი აღმწერელი თემის ყოფისა.

კარგად გვახსოვს დიდი დავითის ფსალმუნის სტრიქონები:

ღმერთი მართალი მსაჯულია.

ან კიდევ:

რამეთუ შენ აკურთხებ მართალს, უფალო, შენი წყალობით შემოსავ, როგორც ჯავშანი.

დიახ, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!

მაგრამ სიმართლე, ეს უებარი მალამო კაცთა შორის ურთიერთობისა, ბევრისთვის ეკალია.

და ებრძოდნენ კიდევ „მენორას“.

„მენორას“ თავისი სიმართლე უძღვის წინ, სიმართლემ გადაარჩინა გაზეთი.

გადაარჩინეს იმ ქართველმა ებრაელმა ქველმოქმედებმა, რომლებიც ღრმად და გონივრულად განსჭვრეტენ საქართველოს ებრაელობის ხვალისდელ დღეს.

დღეს, ჩვენი დაბადების მეოცე წლისთავზე მათ ვეუბნებით:

— გმადლობთ!

და ვისხენებთ იმ ადამიანების ამავს, რომელთაც ხელი წააშველეს „მენორას“ დაბადებას, ზრდას.

ამათგან პირველობა მენახემ ელაზარს ეკუთვნის — „ჯოინთის“ იმდროინდელ წარმომადგენელს საქართველოში. მისი ძალისხმევით დაიბადა გაზეთი — სწამდა: ქართველ ებრაელობას უნდა ჰქონოდა თავისი ტრიბუნა. დაბადების პირველ წლებში, ვიდრე გაზეთი ფეხზე დადგებოდა, გაზეთს ხელს აშველებდნენ: ლევან იანოვსკი, არიელ ლევინი, კოტე წერეთელი, თამარ მამისთვალოვი, იაკობ ეფრემაშვილი (ოფირი) მეირ ბააზოვი.

მათაც ვეუბნებით:

— გმადლობთ!


„მენორა“ ოცი წელია სისტემატურად გამოდის. არ ჩაგვიგდია არც ერთი ნომერი, არ ყოფილა თვე, ქართველ ებრაელობას ამა თუ იმ მიზეზით თავისი გაზეთი არ მიეღოს.

ასეთი რამ საქართველოში არ ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენი წინაპარი გაზეთები — დიდი დავით ბააზოვის „ებრაელის ხმა“ და „მაკაველი“, დღემოკლენი აღმოჩნდნენ. იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურმა, სოციალ-ეკონომიკურმა, მდგომარეობამ ამ გაზეთებს არსებობის საშუალება წაართვა, თუმცა, დავით ბააზოვს ქართველი ებრაელობა რომ ჯეროვნად ამოდგომოდა გვერდში, იქნებ, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო!

გამოვიარეთ გზა სიღუბნისა, როცა საქართველოში არც შუქი იყო, არც გაზეთის გამოცემის ხალისი, საგაზეთო ქალაქი შავ ბაზარზე იყიდებოდა.

გამოვიარეთ გზა ლანძღვისა, ორპირობისა. დღეს კი 20 წლის საუბილეო მოლოცვებს ვღებულობთ.

ამ დღეს ხაზგასმით ვამბობთ: ძალიან მნიშვნელოვანია ასახავდე თემის ცხოვრებას. კვლავაც ამ გზით ვივლით!



სემინარი ახალგაზრდა ებრაელი ლიდერებისთვის

30 ივნისი–11 ივლისი, 2013

14.02.2013

დიპლომატიური სემინარი ახალგაზრდა ებრაელი ლიდერების ყოველწლიური პროგრამაა, რომელსაც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ლიდერობის პოტენციალით არიან დაჯილდოვებულნი. წლეულს სემინარი 30 ივნისიდან 11 ივლისამდე ჩატარდება და მასში მონაწილეობა 26–37 წლის ადამიანებს შეეძლება მთელი მსოფლიოს ებრაული თემებიდან.

დიპლომატიური სემინარის მიზანია, ებრაელ ახალგაზრდებს გაუზიაროს პოლიტიკური თუ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები, რომელთან გამკლავებაც ისრაელს უწევს და უკეთ გააცნოს ებრაული დემოკრატიული სახელმწიფოს საზოგადოება, კულტურა და ეკონომიკა.

სემინარის პროგრამა მოიცავს ლექციებს, ვორკშოპებს, კულტურულ ღონისძიებებს და სასწავლო ტურებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ პრობლემებს, რომლებიც სრულიად ებრაელი ერის წინაშე დგას: ერის დემოგრაფია, ანტისემიტიზმთან ბრძოლა და ისრაელისა და ებრაული დიასპორის ურთიერთობა.

სემინარი ინგლისურენოვანია და ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ებრაული თემების დეპარტამენტში ტარდება. სამინისტრო სრულად ფარავს სემინარის განმავლობაში ისრაელში მონაწილეთა ცხოვრებისა და კვების ხარჯებს, ასევე ექსკურსიებს ქვეყნის მასშტაბით. ისრაელში მგზავრობის ხარჯები მონაწილეებმა თავად უნდა დაფარონ.

სემინარში მონაწილეები კონკურსის შედეგად შეირჩევიან. მონაწილეობის მსურველებმა სრულად შეესებული სააპლიკაციო ფორმა უნდა გამოავსონ და ისრაელის საელჩოში 2013 წლის 15 აპრილამდე.

მიუიკო

აჯიაშვილის


დაბრუნება



შარშან, ზაფხულის პირას თბილისის ებრაელობა შემსრავლებს ახალგაზრდის მიუიკო აჯიაშვილის უფრო გარდაცვალებას.

ახლახან კი მიხეილ (მიუიკო) აჯიაშვილი დაუბრუნდა მათ, მისთვისაც კვირვასი გახლდათ ამ ახალგაზრდა პაციის სიცოცხლე. დაუბრუნდა თავისი ლექსების, ჩანახატების სახით, რომელიც შესულია წიგნში „მე უფრო დარდი მქვია სახელად და მონატრების ორმოცტრიალი“.

ამ წიგნმა კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი ტკივილი, რაღბან დაგვარწმუნა, რომ ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ კვირვასი ნათესავი, ახლოგული, არამედ ჩინებული პოეტური ნიჭით დაწილდომებული ახალგაზრდა. ვაძველებთ ამ წიგნში შესულ რამდენიმე ლექსს.



ბ ა კ ო ს

რა ლამაზია მაისი, ეს, გაზაფხულის თვე, ხან წვიმს, ხან მზეა, ყვავილობს, ყველა ბუჩქი და ხე. და არა მარტო ბუნებით მაყვარებს იგი თავს, ამ თვეში დაბადების დღე, აქვს ჩემს საყვარელ დას. დილით მზის სხივი გილოცავს, საღამოს – ჩუმი სიო, დღე, სასწაული, ლამაზი, მშვენიერად რომ გიქცეონ, შუადღით მე მოგილოცავ, ამ სიტყვებს გეტყვი მარტო: იხარე, იბედნიერე, ჩემო დაიკო ბაკო!

13 მაისი 1998 წ.

გაუხარდები მზეს, გამიხარდება ცა. ქვეყნად შენს გარდა მე, არ მენატრება სხვა... დავემალები მზეს, დამემალება ცა. მე ისე როგორც შენ, არ მეყვარება სხვა!..

29. 12. 2003 წ.

ასფალტის ფერი სიცივის ფარად, ჩვენ, ჩვენს ოთახებს შეკედლებული... დამე მორიგი უშენობაა, სიყვარულისგან გზარეული!

13. 01. 2004 წ.

თავი ასწიე, ახედე ცას, სავსე მთვარეა ამ ღამის ხიბლი. ჩემს გულს კი მხოლოდ ერთი აქვს ჩვევა – იძგეროს მხოლოდ შენი გულისთვის.

თებერვალს ქარი გაუხედნია, გადუქცევია საკუთარ სუნთქვად. მე შენს თვალებში ჩამიხედია – მომენატრეო, მათ ასე უთქვამთ...

7. 02. 04

რას ვპიტხ უღოპთ
ამ კპირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს
მთავარი რაბინი
აბიშაი ბათაშვილი



ფ
ე
ს
ა
ხ
ი

ოთხ შვილთან დაკავშირებით ლაპარაკობდა თორა: ერთი ბრძენი იყო, ერთი ბოროტი, ერთი გულუბრყვილო და ერთი, შეკითხვაც რომ არ იცის.
(ფესახის ჰაგადიდან)

სახელი „ჰაგადა“ აღებულია ბრძანებიდან „გეჰ იგადთა ლეგინსა“ („და უამბე შენს შვილებს“). ჰაგადის საშუალებით ჩვენ-ჩვენს შვილებს მოვეუთხრობთ ეგვიპტიდან გამოსვლის ამბავს.

„გეჰაგადთა ლეგინსა“ მთავარი პირობა ის არის, რომ ჰაგადა შვილის შეკითხვის პასუხია „და გკითხავს შენი შვილი“, ხოლო რაც შეეხება შვილს, რომელმაც შეკითხვა იცის, ჰაგადა მოგვითხრობს, რომ „ოთხ შვილთან დაკავშირებით ლაპარაკობდა თორა“.

ოთხი შვილი და ოთხი სახის შეკითხვა. თითოეული მათგანი იმის მიხედვით ეკითხება, როგორი თვითონ არის. „რას ამბობს ის“. ამ ოთხი შვილიდან თითოეული მათგანი თავის ნათქვამში და კითხვაში საკუთარ თავს ამჟღავნებს. ის ამბობს იმას, რაც ფაქტიურად მის არსს წარმოადგენს.

ჰაგადში შვილების თანმიმდევრობით გამოჩენა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ბრძენის გვერდით ბოროტის დასახელება.

მათი მნიშვნელობა ასეა: ბრძენი, გულუბრყვილო და ის, შეკითხვა რომ არ იცის.

ჰაგადში ოთხი შვილი, თითოეული მათგანი თავისი სიბრძნის მიხედვით წარმოდგება: ბრძენი. მის შემდეგ ბოროტი (ისიც ბრძენია, მაგრამ გულდრძობის გამო იქმს ბოროტებას), მის შემდეგ არის გულუბრყვილო, მასაც აქვს ოდნავი სიბრძნე, რომ შეკითხვას და ბოლოს „ის, შეკითხვა რომ არ იცის“.

მარტივად შეიძლება ითქვას, რომ ჰაგადის ავტორი დასაწყისში უკიდურესებს აღნიშნავს: ბრძენს, რომელიც უმაღლეს ზღვარზეა, მის შემდეგ – ბოროტს, რომელიც უმდაბლეს ზღვარზეა და ბოლოს იმ ორს, რომლებიც მათ შორის იმყოფებიან.

დამატებითი განმარტება ის არის, რომ ბოროტი ბრძენის გასწვრივია, რათა ბრძენმა გამოსასწოროს იგი. ბოროტზე ნათქვამია „რამეთუ არ უკუაგდებს მისგან უკუგდებულს“. მაგრამ მის გამოსასწორებლად დიდი ძალაა საჭირო. გულუბრყვილოსა და მას, შეკითხვა რომ არ იცის, ძალა არ შესწევთ ბოროტის წესიერ გზაზე შემობრუნებისა. ეს ამოცანა ბრძენს ევალება, რომელიც ყველაზე მაღალია „ყოველი ყველ“ ანუ მაღალი ყველაზე დაბლა ჩადის“. ბრძენი შესძლებს ბოროტის სულში იმ „ერთი“ ფარული, ებრაული ნაპერწკლის აღმოჩენას.

ოთხ შვილს შორის ბოლო ადგილი იმ შვილს უკავია, რომელმაც შეკითხვა არ იცის და არა ბოროტს. რათა გასწავლოს, რომ ყველაზე უარესი „უცოდინარობა“ და „უეცობაა“!

ბოროტს, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, „ცოდნა“-ში არაფერი ავლია, მან ყველაფერი იცის. ის მცნებებსაც ასრულებდა და თორასაც სწავლობდა. ამიტომ ბოროტს ერთ წამში შეუძლია თქმუბაზე დაბრუნდეს და ჭეშმარიტ აღაღმართლად იქცეს. ეს არის მისი უპირატესობა. ხოლო რაც შეეხება მას, შეკითხვა რომ არ იცის, თქმუბაზეც რომ დაბრუნდეს, კიდევ ძალიან ბევრი უნდა ისწავლოს, რომ იცოდეს როგორ გახდეს ჭეშმარიტი ალაღმართალი.

ფესახის დღესასწაულში ოთხ შვილთან დაკავშირებით ლაპარაკობდა თორა. სუქოთის დღესასწაულში – ოთხი სახეობის მცენარე: ეთროგი, ლულავი, ჰადასი და ტირიფი სიმბოლურად მიანიშნებენ ისრაელის შვილებში ოთხი ტიპის ადამიანზე.

ა. ადამიანები, რომლებიც სწავლობენ თორას და აკეთებენ სასიკეთო საქმეებს.

ბ. ადამიანები, რომლებიც სწავლობენ თორას, მაგრამ არ აკეთებენ სასიკეთო საქმეებს.

გ. ადამიანები, რომლებიც აკეთებენ სასიკეთო საქმეებს, მაგრამ არ სწავლობენ თორას.

დ. ადამიანები, რომლებიც არც თორას სწავლობენ და არც სასიკეთო საქმეებს აკეთებენ.

ჩვენ ბოროტს ვუხსნით, რომ იქ – ეგვიპტეში (თორის ბოძების წინა პერიოდში), დახსნილი არ იქნებოდა, მაგრამ მომავალი დახსნისას, რაც თორის ბოძების შემდეგ იქნება, ისიც იქნება ხსნილი, რამეთუ კურთხეული ღმერთი ამბობს „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი“. ნებისმიერი ებრაელის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა ხომ უფალია და ამიტომ, ისრაელის შვილს, ბოროტიც რომ იყოს, დაპირებული აქვს, რომ ამ ძალის მეშვეობით საბოლოოდ ისიც იქნება ხსნილი.

დამატებითი განმარტება: ბრძენის ბოროტთან დაყენება ბოროტისთვის წამახალისებელი შეტყობინებაა. ამის მიზანია მიუთითოს ბოროტს, რომ მასაც შეუძლია იყოს ბრძენი.

ამასთან ერთად, ეს ბრძენისთვის გაფრთხილებასაც წარმოადგენს, ზედმეტად არ იამაყოს თავისი მიღწევებით, რადგან მასსა და მის ძმებს შორის მოკლე მანძილია. ის თუ თორაში და იუდაიზმში წინსვლას არ გააგრძელებს, მოსალოდნელია უკან დაიხიოს და ის განსწავლება შესაძლოა, გაქრეს.

ფესახის ჰაგადში ოთხ შვილზეა ლაპარაკი: ეს ოთხი შვილი ებრაელების ოთხი განსწავლებული ტიპის ებრაელს წარმოადგენს. მათ ერთი საერთო აქვთ. ისინი ერთად უსწედა „სედერის“ მაგიდას და ფესახს დღესასწაულობენ. ბოლო თაობებში ახალი ტიპის ებრაელი გაჩნდა, „მეხუთე შვილი“. ეს ის ებრაელები არიან, რომლებიც ისე ჩამოშორდნენ ებრაულ ტრადიციას, რომ საჭიროებადაც არ მიაჩნიათ მოვიდნენ და „სედერში“ მიიღონ მონაწილეობა.

ჩვენს ვალდებულებას წარმოადგენს ვიპოვოთ ის „მეხუთე შვილი“ და შევასწავლოთ მას, რომ ის ებრაელია. სიყვარულით მოვიახლოვოთ და „სედერის“ მაგიდასთან დავსვათ. ფაქტიურად ესაა ჩვენი თაობის ამოცანა. მივალწოთ იმ ებრაელებამდე, რომლებიც ებრაელობას ჩამოშორდნენ და ისრაელის ხალხსა და მის მემკვიდრეობას დაგუბრუნოთ ის.

ახალი წიგნები ახალი წიგნები ახალი წიგნები

მისიცი ფიზიკის ეს წიგნი უნდა დაწერა

„ერთი, მხოლოდ ერთი“

გამოდის წიგნები, რომელთა გამოუსვლელიობით არაფერი დაშავდებოდა – საზოგადოებას სრულიად არაფერი დააკლდებოდა, მაგრამ არის წიგნების რიგი, რომელთა დაუნერლობა, გამოუცემლობა მომავალი თაობის წინაშე შენი ბრალეულობის დასტური იქნებოდა. ასეთ წიგნთა შორის მოვიხსენიებთ მიხეილ ფიზიკის მიერ დაწერილ წიგნს „სიტყვა ბორის გაპონოვზე“.

ჩვენ ვიცით ადამიანები, რომლებიც დღეს ბორის გაპონოვის მეგობრობას იკვეხნიან იმის გამო, რომ ორ-სამჯერ ხელი ჩამოურთმევიათ. აი, მიხეილ ფიზიკი კი ბორის გაპონოვის კლასელია – ერთად უსწავლიათ — ქუთაისის მე-9 საშუალო რუსული სკოლის მეხუთე „ბ“ კლასიდან, ერთად ეწოდნენ ცხოვრების ჭაპანს მანამ სანამ დიდი შემოქმედი ბორის გაპონოვი ისტორიული სამშობლოსაკენ მიმავალ გზას არ დაადგა — ასე პირობითად ითქმის, თორემ ბ. გაპონოვი ისრაელში უტყვი და ხეიბარი ჩაიყვანეს.

ისეთი ხასიათის წიგნები, როგორიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს მიხეილ ფიზიკის დაუნერია, იშვიათად გახლავთ განზოგადებული მეცნიერული დაკვირვებებით დახუნძლული. ასეთი ხასიათის წიგნებში ჩვენ დავეძებთ ყოფას, პიროვნების ცხოვრების დეტალებს, რათა შემდეგ ამ დეტალებით თავად წარმოვიდგინოთ და საიმისო ანალიზიც გავაკეთოთ ამა თუ იმ პიროვნებამ როგორ, რისთვის იცხოვრა. სწორი გეზი აქვს მიხეილ ფიზიკის – იგი გვიამბობს ბორის გაპონოვის – მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში ევპატორიიდან სიცოცხლის გადასარჩენად ლტოლვილი შმუელ მაზოს ოჯახის – ცოლის, შვილის, შვილიშვილის ცხოვრებაზე და ჩვენი ფიქრი გარბის: მოულოდნელად, მოუშზადებლად არაფერი არ ხდება, ის, რაც ბორის გაპონოვმა გააკეთა – შმუელ მაზოს დაწყებულია (ამას გვაჩვენებს მ. ფიზიკის მიერ აღწერილი ცხოვრება ამ ოჯახისა). რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა მაზოს ფიქრადაც არ მოსვლია, მაგრამ მან უმთავრესი რამ ქმნა–შვილიშვილში ჩანერგა დიდი ცოდნა და სიყვარული ებრაელი ხალხის სულიერი მემკვიდრეობისადმი, აღზარდა იგი ჭეშმარიტ ებრაელად, „ნეფემ იუდის“ მატარებელ პიროვნებად, მერე კი... ტალანტი ხომ ყოველთვის თავად იკვლევს გზას, თავად მიდის აღმოჩენებამდე. ბორის გაპონოვის ნიჭმა მიაგნო საქართველოს ებრაელობის მასახელებელ იდეას ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. მისმა ტალანტმა გარდათქვა ეს დიდი წიგნი წმინდა ენაზე და ამით „თანახის“ შემქმნელი ერისათვის საცნაური გახადა, თუ რა საწყაოს მატარებელია ქართველი ხალხი, რა არის მთავარი ამ ერისთვის, სად უნდა ვეძებოთ ქართული სულიერების სათავეები.

მიხეილ ფიზიკის წიგნი დიდ პოეტ ბორის გაპონოვზე ერთი დიდი, გენიალური ებრაელის ტანჯულ ცხოვრების გაგაცნობთ და ეს ტანჯული გენიოსი ჩვენს შორის გაიზარდა, გვინახავს როგორ დააბიჯებდა იგი.

იმასაც დავსძენთ, რომ წიგნი სულ ახლახანს გამოიცა ნიუ-იორკში (გამომცემლობა „მამული“), სადაც ამჟამად ცხოვრობს მიხეილ ფიზიკი. იგი ქვინის ქართველ ებრაელთა თემის ლირსეული წევრია.

ბ.ბ.

დინა რატნარი

მაშინ მე მხოლოდ ვიწყებოდი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №1,2)

— ეი! შენ, მანდ რას აკეთებ? — მიყვირის.
 — კაკალს ვკრეფ.
 — რას ხულიგნობ?!
 — მერე, რა?
 — სხვის კაკალს კრეფ.
 — მე ჩემსას ვკრეფ.
 — როგორ თუ, შენსას?
 — აბა, ვისია?
 — ვისი? — მილიციონერი დაიბნა, — სახელმწიფოსი.

— მე რა, სახელმწიფო არა ვარ?
 — ჩამოდი მანდედან, შე რეგვენო! განყოფილებაში უნდა წაგიყვანო. კაკალი ხალხისაა.
 — ჰოდა, ხალხი მე ვარ.

ყველა იცინის, გოჩა კი სერიოზულია. გოჩა ღვიწხოს ასხამს.

— გენაცვალე, — ეუბნება ის პატარა ბიჭს, — ასე შორს რატომ დგებარ, მოდი, ჩემს გვერდით დაჯექი. ჩვენთვის ბავშვები წმინდანები არიან, — მეუბნება გოჩა, — ჩვენ არა გვყავს „ჩვენი“ და „სხვისი“ შეილება. ყველა ჩვენია.

ცხარე ლობიო, შესანიშნავი ცივი ღვინო, არაჩვეულებრივი ადამიანები. ადამიანთა გვაროვნული გაერთიანება. ოდესღაც, ძველად, ხალხი დიდ ოჯახებად, გვარებად ცხოვრობდა, ახლა კი ყველას თავისი ბუნაგი აქვს. შეილება და მამებს შორის გაუცხოებამ საქართველოშიც შემოაღწია, ქართველი ქალი თვითონ გახდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ეს ბოლო აზრი ხმამაღლა გამოვთქვი.

— აბა, რა უნდა ქნას, — გამომეხმაურა გოჩა ისე, რომ კოცონისთვის თვალი არ მოუცილებია, — მა-მაკაცი აღარ არის მშოვნელი, ოჯახის ბურჯი. ქალის დამოუკიდებლობა ამის შედეგია — ის ან გაჭაღარავებამდე უნდა ელოდოს მამონტზე მონადირეს, ანდა ლუკმა-პურის შოვნა თვითონვე დაიწყოს, თვითონ წარმართოს თავისი ცხოვრება. არჩევანი აღარ რჩება — ვისაც როგორ შეგიძლიათ, ისე გადაირჩინეთ თავიო. ქალი — მეცნიერ-მუშაკი, ქალი — დედა, ქალი — კერიის მცველი, იგივე ქალი — მშოვნელი. როგორ უნდა შეითავსოს ეს ყველაფერი ერთმა ადამიანმა? ოღონდაც, არ დაკარგოს თავისი, როგორც სიცოცხლის გამგრძელებლის პირვანდელი არსი. ოჯახში ერთი ან ყველაზე ბევრი — ორი ბავშვია. და, რამდენი გაუთხოვარია ახლა! ეს ხომ კატასტროფაა და ეროვნული უბედურება. ეს მდგომარეობა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას: მთებიდან მიგრაციით, ჩვენთან შემოღწეულ ზნე-ჩვეულებათა თავისუფლებით; თუმცა ეს მიზეზი კი არა, უფრო ადამიანთა მოუწყობლობის შედეგია. აქედან გამომდინარეობს არა მხოლოდ თაობათა შორის არსებული ურთიერთგაუცხოება, არამედ ერთი თაობისა და ერთი ოჯახის წევრთა შორის გაუცხოებაც კი.

— ნიკო, — მეზობელი ეზოდან ქალის მელოდიური ხმა გაისმა. შვლის — თვალეზიანი ბიჭუნა შეკრთა, დამშვიდობების ნიშნად ყველას თვალი მოგვაველო და სიბნელებში გაუჩინარდა.

ვუყურებ ცეცხლს, რომელიც სულს ღაფავს და, როგორც ბავშვობაში, როდესაც ღუმელში ნალვერდელი ქრებოდა, მომაკვდავი ცეცხლი მეცოდება, თითქოს ვიღაცის სიცოცხლე სრულდება.

— ერლომ, ერლომ, — შეუჩნდა ერლომს ვენერა, — ხეალ ხომ ადრე ხარ ასადგომი, ისევ ვერ გამოიძინებ. გოჩამ დარჩენილი ღვინო ყველას თანაბრად გაგვინანილა. გამოსამშვიდობებელი სადღეგრძელო დავლიეთ და დავიშალეთ. თამრიკოს მაგიდის ალაგებაში ვეხმარები. სამზარეულოში კედელზე ნივრის, ხახვის, გამხმარი წიწკის წნულები ჰკიდია, თაროზე დროუამისგან გამწვანებული სპილენძის ვეებერთელა ჩაიდანი, როდინი ქვის სანაყით და ღვინის ძველი, მაღალყელიანი დოქი.

— სოფლიდან მთელი ძველი ხარახურა ჩამოვზიდე, — ამიხსნა თამრიკომ, შეამჩნია რა ამ ნივთებისადმი ჩემი ინტერესი, — ეს დედაჩემის ბებიის ნაქონი

იბაჟდავა შემცირებული, საგაზთო ვარიანტი

ნივთებია, გადასაყრელად ვერ გავიმეტე. სულ მგონია, რომ ამ ძველებურ ჭურჭელში ჩემი წინაპრების სულია, თითქოს ნივთებმა შეისრუტეს მათი მფლობელების სულები.

ვუყურებ თამრიკოს: ნალვლიანი ღიმილი, უმნიშვნელო და ნათელი თვალები. მუქი, კოჭებამდე გრძელი ქვედაბოლო — მარადიული ქალის, კერიის მცველის სიმბოლო. თუმცა აღარაფრის დაცვა აღარაა საჭირო. ქმარს თამრიკო დიდი ხნის წინ გაეყარა, ქალიშვილი გათხოვდა და ამ სახლიდან გადავიდა.

მთელი სამყარო ჟღერადია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ის მელოდია გვესმის, რომელიც ჩვენს გრძნობებთან მოდის რეზონანსში. ჩემი და თამრიკოს ბედის მსგავსებამ ჩვენი გრძნობების მსგავსებაც განაპირობა, თუ, პირიქით, სამყაროს მიღების მსგავსებამ განაპირობა ჩვენი ბედის ერთნაირობა? ჩვენი მარტოსულობა კომპრომისზე წასვლის შეუძლებლობის შედეგია.

— არ არსებობს ოჯახი ურთიერთპატივისცემის გარეშე, — თამრიკომ თითქოს ჩემი აზრები გააგრძელა, — ქმარს რომ ჩემთვის მხოლოდ ელაღა, ვაპატიებდი, მაგრამ მე მისადმი, უბრალოდ, პატივისცემა დავკარგე და ამას ვერაფერი მოვუხერხე. ის არაფრის მაქნისი აღმოჩნდა, არადა, სულ პირველობას იჩემებდა. თავიდან ეს არ მესმოდა. ერთ ამბავს მოგიყვები, სადაც მთელი მისი არსი მჟღავნდება. აკაკიმ ერთ ადამიანს იმის გამო სცემა, რომ ის მასზე ჭკვიანი აღმოჩნდა. ჩემს ყოფილ ქმარს, როგორც წესი, თავი უჭკვიანესად მოჰქონდა, დათო კი მომცრო ტანის, გამხდარი, სათვალისანი კაცი, რომელიც ნამდვილად ბრძენი იყო, მის მოსაზრებებს ძალიან დელიკატურად და თავაზიანად უარყოფდა. ეს სტუმრად ყოფნისას მოხდა, ყველას თვალწინ. აკაკი, ეტყობა, ცოტა შემთვრალიც იყო.

— მოდი, მეორე ოთახში გავიდეთ, — მოულოდნელად შესთავაზა დათოს აკაკიმ. ისიც ადგა და გაჰყვა.

— მოდი, ვიჭიდაოთ, — ეუბნება აკაკი.

— რატომ უნდა გეჭიდაო? — გაეცინა დათოს, — შენ, აგერ, რამხელა ხარ, მე შენს ნახევარსაც არ ვინი, ცხადია, ჩემზე ძლიერი იქნები.

— მოდი, ვიჭიდაოთ, — დაიჟინა აკაკიმ.

— არ მინდა შენთან ჭიდაობა.

მაშინ კაკომ გაღელულ დათოს მხრებში ხელი დაავლო და მთელი ძალით თავით რამდენჯერმე კედელს მიანარცხა. თავი გაუტეხა, მთელი კედელი სისხლით იყო მოსვრილი. სამწუხაროდ, დათოს სასამართლოში საჩივარი არ შეუტანია. ის შემთხვევა ჩვენს ურთიერთობაში უკანასკნელ წვეთად იქცა. მე მივხვდი, რომ ძალა არ შემწევდა კაინი აბელად მექცია. ერლომმა სცადა ჩვენი შერიგება, მაგრამ მე ვერ წავედი ამაზე. აღარ შემეძლო მასთან ცხოვრება. რა ვქნა, აღარ შემეძლო. ეს ერლომსაც კარგად ესმოდა.

წარმოიდგინე ასეთი სურათი: განქორწინებამდე სხვადასხვა ოთახებში ვცხოვრობდით. ერთხელ გაიგო, რომ კედელში ლურსმანს ვაჭედებდი, შემოვიდა ჩემს ოთახში, გამომართვა ჩაქუჩი და მეუბნება: მომეცი, მე მივაჭედებ, ერთმანეთს მტრებად ხომ არ უნდა დავცილდეთო. მიაჭედა და თავი ბატონ-პატრონად რომ იგრძნო, მეუბნება: „მე ხომ ლურსმანი მიგიჭედე, შენ ეხლა სუფრა გავგიშალე, ჩემი მეგობრები უნდა მოვიდნენ, ლობიო, საცივი, ხაჭაპურები მოამზადე, ბაზარში წადი და ყველაფერი იყიდე“. როგორ მოგწონს?

— აქ ლირიკულ ემოციებს ნამდვილად არა აქვს ადგილი, — ხელებილა გავშალე.

— კარგი, არ ღირს მასზე ლაპარაკი, მას მერე ოცი წელი გავიდა. გაყრის შემდეგ მე და ჩემი გოგონა ამ სახლში გადმოვედით, ქეთევანი ბაგა-ბაღში მივაბარე და მე სკოლის ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა. საღამოობით ორკაცთან ვახშამს ვანყობდით და ქეთინოს გათხოვებამდე ორივეს ერთ საწოლში გვეძინა. სწორედ მაშინ, ოცი წლის წინათ დავიწყე ბავშვებისთვის ზღაპრების წერა. უფრო სწორად, ბავშვებისთვის კი არა, ზღაპრებს ბედნიერი დაბოლოებებით უფრო ჩემთვის ვწერ. ერლომმა მიჩნია,

დინა რატნარი ფილოსოფიის
 მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი.
 მოღვაწეობს იმერსალიშვილი. იბი ქართული
 მწერლობის მემკვიდრე. მის კალამს ეკუთვნის
 არაერთი ბავშვობისა ქართული მწერლობის
 საუკეთესო წარმომადგენელაჲ.



მულტიფილმების სტუდიაში მიიტანეო. მახსოვს, შევედი „საბავშვო პროგრამების“ განყოფილების რედაქტორთან და, როგორც კი შევხვედი გამხდარ, მხრებში მოხრილ, დაქანცულთვალეზიან ადამიანს, ერთბაშად ისე კარგად ვიგრძენი თავი, თითქოს ძველ ნაცნობთან ან მეგობართან მოვსულიყავი. რედაქტორი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ბოლში რომ არ გაგუდულიყო, კარი ღია დაეტოვებინა. მახსოვს, კარის დახურვა მინდოდა — დერეფანში ხალხის მიმოსვლა, მათი ფეხის ხმა, უცხო საუბრის ხმები ხომ ხელს უშლიდა. რატომღაც ვიფიქრე, რომ რედაქტორი განდევნილი ვით ცხოვრობს, მაგრამ აქ, ტელევიზიაში ის იძულებულია იქაურ ფაციფუცში ჩაებას, უფროსებს დაემორჩილოს.

რედაქტორმა ხელნაწერის დასარეგისტრირებლად მეზობელ ოთახში, მდივანთან გამაგზავნა, მაგრამ ფეხები თითქოს იატაკს მიმეწევა, ახალი ადამიანის — მდივნის გასაცნობად ძალა აღარ მყოფნიდა. იმ დღეს დავითზე, ასე ერქვა იმ რედაქტორს, ამოვწურე ახალი ნაცნობებისთვის განკუთვნილი მთელი ჩემი სულიერი მარაგი. ალბათ თვითონაც მიხვდა ამას და ჩემი ზღაპრები თვითონ დაიტოვა. ახლა კი ვიცი, რატომ აქვს მას ასეთი ტანჯული გამომეტყველება — მთავარ რედაქტორს ვერ ეწყობა, რადგან ყოველ მონონებულ სცენარს კბილებით იცავს. ერთხელ სამსახურის დატოვებაც კი უნდოდა იმის გამო, რომ უკვე გადაღებული ფილმი აუკრძალეს. მაგრამ მეგობრებმა დაარწმუნეს დარჩენილიყო, მას ხომ ოჯახი ჰყავს, რომელიც უნდა არჩინოს.

დავითში თითქოს ორი ადამიანია: განდევნილი და ცეცხლოვანი, თავშეუკავებელი მემამბოხე, რომელიც მიიჩნევს, რომ სამყაროში არსებულ ყველა ბოროტებაზე პასუხისმგებელი. მესმის, რომ ცოლიანი კაცის სიყვარულის უფლება არ მაქვს, მაგრამ სიყვარულის უფლებას თვით სიყვარული იძლევა. შიშის ზარს და სიამოვნებას მგვრის მის თვალეზში ჩახედვა: თითქოს ზღვაში მიცურავ — სულ უფრო და უფრო გიზიდავს. იცი, რომ დასაბრუნებლად ძალა არ გეყოფა, მაგრამ მაინც მიცურავ. როგორც მთაში ასვლისას, მთა უსასრულოა, იცი, რომ მთის წვერს ვერ მიაღწევ, მაგრამ უკანაც ვერ დაბრუნდები. ერთ აღმოსავლურ ზღაპარში მეფის ასულს მთვარე შეუყვარდა. მამამისმა ეს რომ გაიგო, ცაში ყურება აუკრძალა, და ქალწული სულელურ აზრებს რომ არ აჰყოლოდა, მისი გათხოვება გადაწყვიტა. ქორწილის დღეს მეფის ასული მთვარესთან გამოსამშვიდობებლად გავიდა, მაგრამ მამის აკრძალვის გამო, ცისკენ არ გაუხედავს. უცაბედად მდინარეში მთვარის ანარეკლი დაინახა და მისკენ გადაეშვა... ასე ზღაპარშია. ცხოვრებაში კი იძულებული ხარ, დიდხანს ითმინო. ერთხელ, ბედნიერება დამესიზმრა. ვდგავარ ვინრო ნავში, რომელსაც მთის მდინარე მიაქანებს. ნავი ეს-ესაა იმ ჭორომს მიაღწევს, საიდანაც გრიალითა და ზაოქით ჩანჩქერი ვარდება და ყველაფერი დამთავრდება კიდევ. ჩემს ზემოთ ვეებერთელა, გავარვარებული, ფორთოხლისფერი, წითელი მზეა. მისკენ ხელეზს ვიშვრ, მზე თავისკენ მიზიდავს და გულში მიკრავს. ეს ის იყო — დავითი. ისეთი კარგი შეგრძნება მქონდა. სითბო, სიმშვიდე. სულში თითქოს ძალა ჩამელვარა. ჰოდა, მეც ვწერ ზღაპრებს, იქ ახალ სამყაროს ვქმნი, ღმერთს სამართლიანობაში ვეჯიბრები. ზღაპარში ის ხდება, რაც მართლაც უნდა მოხდეს და არავითარი გულის გაცრეხება ან აუხდენელი იმედები. ქვის ქალ-ამნები მალე ცვდება, ბედის გამოსაცდელი რკინის კვერთხებიც მალე ილევს. არ არსებობს უპასუხო სიყვარული, აბელი გაცოცხლდა, კაინი დაისაჯა, სიკეთე სძლევს ბოროტებას, სიცოცხლე — სიკვდილს. და ის, რასაც ღმერთს სასწაულის სახით შევთხოვთ, ზღაპარში, როგორც წესი, უპირობოდ სრულდება.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

დაგვუშენებენი და

გამომცემელი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთავრინდის

რაიონის სასამართლოს

მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557



9771987898003